საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოლოდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 3-4 აგვისტო. 2022 წ. №109-110 (9447-9448) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

უხილავ ძალთა ზემოქმედება ჩვენს ცხოვრებაზე

კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი...

5

საფრანგეთიდან წამოსულმა შხამმა (ვგულისხმობ 1789 წლის საფრანგეთის „დიდ რევოლუციას“, ოლტერიანობას, 1968 წლის ე. წ. „სექსუალურ რევოლუციას“, ნეოლიბერალიზმსა და „გეი-აღლუ-მებს“) მთელ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი, გარდა ისლამური სამყაროსი, ჩინეთის და რუსეთისა.

2

უკრაინა – განწირული მსხვერპლი...

რატომ ვერ იყენებენ „სუპერ პუმებს“ სამძებრო-სამაშველო ოპერაციებში?

8

ჩქარა–HIMARS-ის სარაკეტო სისტემა საქართველოს!

ამერიკელი კონ-გრესმენი ადამ კინზინ-გერი საქართველოს-თვის HIMARS-ის საარ-ტილერიო სარაკეტო სისტემების გადაცემას ითხოვს.

ამის შესახებ კონ-გრესმენი კინზინგე-რი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

„რუსეთს ოკუპირებული აქვს სა-ქართველოს ერთი მესამედი. „ქართუ-ლი ლეგიონი“ უკრაინას იცავს – რო-გორც ჩანს, მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში დამცირდება, შესაძლოა, ცეცხლი გახსნას რუსეთის მიერ ოკ-უპირებულ მიწებზე. HIMARS-ი საქარ-თველოს!“, – წერს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი ადამ კინზინგერი.

საწვავზე დიდი, ძალიან დიდი ფული კეთდება!

4

ბორჯომი ნაბელავი

6

მზე პირს იბანს მკურნალ წყალთა შხეფებით...

ტფილისური ბაზრები



7

9

უცნაური ხვრელები ოკეანის ფსკერზე

ფეიეცლოგელი

№109-110. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3-4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 2022 ᲬᲚᲘ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ – ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ...

„ᲓᲘᲚᲘᲗ, როცა ამ ომის შესახებ მიმოხილვებს, ანალიზს, შეფასებებსა თუ პროგნოზებს ვეცნობი, განსაკუთრებით – ქართულენოვან ინტერნეტში, სევდა და იმედგაცრუება მიპყრობს: პროპაგანდისტულ მასალებს თავი რომც დავანებოთ, თითქოსდა ობიექტური გააზრებანიც კი ამ ომისა, ერთობ ზედაპირულია და უფრო რწმენითი კატეგორიისა, ვიდრე რაიმე ლოგიკურ განსჯას დამყარებული; უპირატესად სასურველის რეალობად ანდა შესაძლებლად გასაღების მცდელობებს წარმოადგენენ და უკიდურესად იშვიათია, თითქმის არც შემხედვედრია რაიმე სიღრმისეული ანალიზი.

არადა, საკითხს ცოტა უფრო სიღრმისეულად რომ შევხედოთ, უმალ დავინახავთ: ეს არ არის „კლასიკური“ ომი, სადაც გამარჯვებულ-დამარცხებულის ბედი ისევე ერთმნიშვნელოვნად და ნათლად, როგორც ჰომეროსის არქეტიპულ „ილიადაშია“, ადრე თუ გვიან, გაირკვევა. თავად განსაჯეთ: მსგავსი „კლასიკური“ ომი რომ იყოს, რუსეთი დამარცხებული მაშინ იქნება, თუკი უკრაინა ან მოსკოვს აიღებს, ანდა, დაუშვათ, როგორც პირველ მსოფლიო ომში მოხდა გერმანიის, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიები ომის ბოლო დღემდე ჰქონდა ოკუპირებული, მაგრამ იმგვარად გამოფიტა, რომ კაპიტულაცია მოუწია, ბედს გაიზიარებს. ე.ი. **უკრაინა მიაღწევს იმას, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ყოფნის მიუხედავად რუსეთის გამოფიტული არმია უკრაინას დანებდება. ასეთი შედეგი, რუსეთის ამგვარი მარცხი – იმთავითვე სრულიად გამორიცხულია. არა თუ უკრაინა, ვერც ერთი ძალა მსოფლიოში და ვერანაირი მათი კოალიცია, ვიდრე დედამიწაზე ბირთვული შეკავების მოქმედი სისტემა არსებობს, ვერ აიძულებს ბირთვულ სახელმწიფოს კონვენციური ომით ამგვარ, „კლასიკურ“ კაპიტულაციას. ეს და მსგავსი მოლოდინები იმთავითვე – აბსურდია. მეორეს მხრივ – ასეთივე აბსურდულია რუსეთის პოლიტიკური მიზანი, რომ მიაღწიოს ჯერ უკრაინის, შემდეგ კი უკვე ყოფილი სსრკ-ს მთელს მიწა-წყალზე თავისი გავლენის აღდგენას და ექსკლუზიურ ბატონობას; მსგავსი მასშტაბის ძალმომრეობის რესურსი -უბრალოდ წარმოუდგენელია!**

მაქსიმუმი, რასაც შეიძლება უკრაინამ მიაღწიოს, ტერიტორიების ნაწილობრივი (სრული ვერავითარ შემთხვევაში , რადგან ამას სწორედაც რუსის ჯარის დანებება დასჭირდება) დეოკუპაციაა. მეორეს მხრივ, რაც შეიძლება რუსეთმა მოიპოვოს – ოკუპაციის არეალის გაფართოებაა, ხოლო მთელს უკრაინას მას არავინ დაუთმობს, არც ერთ შემთხვევაში ეს არ მოხდება, თუნდაც ამისთვის უკრაინის გაყოფა გახდეს საჭირო. დასავლეთი ამაზეც წავა და რაღაც მიჯნაზე რუსეთს მაინც შეაჩერებს. შეაჩერებს მაგალითად დასავლეთ უკრაინაში პოლონეთის, რომელიც ნატოს წევრი სახელმწიფოა, ჯარის შეყვანით, რადგან რუსეთი, იგივე ბირთვული შეკავების სისტემის გამო, ნატოსთან უშულო სამხედრო კონფლიქტს უკვე თავს აარიდებს.

ამიტომაც უნდა ვიმსჯელოთ არა ზედაპირულად და „კლასიკური“ სქემებით, არამედ სიღრმისეულად და ახალი რეალობების გათვალისწინებით, სრულიად სხვაგვარად: ეს გახლავთ პოსტ-ომი, სადაც კლასიკური გამარჯვებულ-დამარცხებულები – უბრალოდ არ არსებობენ. გამარჯვება-დამარცხება იზომება არა მოპოვებული სარგებლის, არამედ მოყენებული ზარალის, განცდილი დანაკარგების (იგულისხემა არა მხოლოდ ტერიტორიული დანაკარგი, არამედ – სხვა კატეგორიისაც: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვ.) მასშტაბებით და „ჰიბრიდული“ უნარებით, რომ შეძლო მიღებული ზარალი მოწინააღმდეგის ზარალთან შედარებით მცირედ გაასაღო და ეს ურთიერთზარალის დადებითად გამოყვანილი ბალანსი „გამარჯვებად გაყიდო“ შინ თუ გარეთ. ასეთ პოსტ-ომში განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკუთარი მოსალოდნელი ზარალის (ე.ი. სხვადასხვა კატეგორიების დანაკარგების) მინიმიზებას. ჩვენი ეროვნული ინტერესიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ომი უშუალოდ არ შეგვეხება, სწორედ ეს არის – რაც შეიძლება ნაკლებად დავზარალდეთ და ამით სარგებელი ვნახოთ. სხვა სახის რეალურ სარგებელს ამ ომისგან ვერავინ მიიღებს. რუსეთმა რომც მოიპოვოს მაქსიმალურად ვრცელ ტერიტორიებზე სამხედრო კონტროლი, მას ამ კონტროლის პოლიტიკურად შენარჩუნება იმდენად ძვირად და დიდი დანაკარგების ფასად დაუჯდება, რომ უკრაინის დანგრეული და განადგურებული ტერიტორია ამად არ ღირს. ეს ამთავითვე ცხადია!

ასევე ამთავითვე ცხადია, რომ უკრაინის ზარალი უკვე შეუფასებლად, აურაცხელად კატასტროფულია და ის, როგორც სუვერენული სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი, ფაქტობრივად აღარც არსებობს: უკრაინა უკვე დღეს და საუბედუროდ, ხვალაც, მრავალი წლის განმავლობაში – 100 პროცენტით სრულად იძნება დამოკიდებული უცხოურ „საარსებო შემწეობაზე“. უკრაინის ბედი, როგორც განწირული მსხვერპლისა - ერთმნიშვნელოვნად გარკვეულია.

აქ საკითხი ასე დგას: რომელი მხარე დაზარალდება მეტად დასავლეთი თუ რუსეთი?! ესაა საკითხავი და პოსტ-ომი სწორედ იმ ლოგიკით, როგორც ფილმში – „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს?“, გაძლებაზე შეჯიბრის სახით, წარმოებს. შანსი ჯერჯერობით, მე ვიტყოდი, რომ – დაახლოებით თანაბარია.

ომის დასრულებას რაც შეეხება: როცა უკვე ორივე მხარე აღმოაჩენს, რომ მიღებული და მისაღები ზარალი უკვე აღარ უღირს მოწინააღმდეგის უკვე მიღწეულზე მეტად და შესაძლებლად მისაღწევი მასშტაბით დასაზარალებლად, დაიწყება საზავო მოლაპარაკებები. ეს ალბათ მომავალ წლამდე არ მოხდება.

ყველაფერი დიდწილად მხარეთა კეთილგონივრულობაზეა დამოკიდებული, რადგან ობიექტურად – თითოეულმა მხარემ უკვა ნახა საკმარისი და თანაზომიერი ზარალი იმისათვის, რათა ერთმნიშვნელოვნად დაასკვნას – ამ პოსტ-ომის გაგრძელება აღარ ღირს.

რუსეთის კეთილგონივრულობის იმედად მტერი იყოს, ხოლო დასავლეთის კეთილგონივრულობა, ჩემი აზრით, პირდაპირ არის დამოკიდებული აშშ-ს ნოემბრის არჩევნებზე. თუ დემოკრატები საგრძნობლად, დემონსტრაციულად, დამარცხდებიან – ეს იძნება მკაფიო ნიშანი, რომ დასავლეთი გონს მალე მოეგება. ამ შემთხვევაში გაჩნდება შანსიც – იძნებ რუსიც ჭკუაზე მოიყვანონ.

რა იქნება ამ პოსტ-ომის შემდგომ? ცხადია, დანგრეულისა და განადგურებულის აღდგენა ანდა ახლის შექმნა. ვგულისხმობ არა მხოლოდ დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებს, ინფრასტრუქტურას, ომით გამოწვეულ უშუალო მატერიალურ ზარალს, არამედ დანგრეულ საერთაშორისო სამართალსა და უსაფრთხოების სისტემებს, საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომელთა უვარგისობა და ზედმეტობა აშკარა გახდა, ფეხქვეშ გათელ უფლებებს, დავიწყებულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, დანგრეულ თავისუფალ ბაზარს, განადგურებულ მსოფლიო იდეოლოგიებს, მათ შორის, უწინარესად – ჰეგემონურ იდეოლოგიას – ნეოლიბერალიზმს თუ **რუსეთში დუგინიზმს, და ა.შ. ამაში შეიძლება დიდი ზოგად-საკაცობრიო სარგებელიც დავინახოთ: ომი ყველაფერს, მათ შორის, პირველ რიგში იმას, რაც უვარგისია და არასიცოცხლისუნარიანი, ჩამოწერს. დაიწყება იმის აღდგენა, რამაც სიცოცხლისუნარიანობა მორიგჯერ დაამტკიცა და ეს, კონსერვატიზმის ხანგრძლივი ხანა შეიძლება იყოს. მაგრამ ჯერ – უნდა გადავრჩეთ“!**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲛ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ 14 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲖᲔ ᲗᲕᲔᲨᲘ 300 ᲚᲐᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲬᲔᲕᲠᲖᲔ – 45 ᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ.

რაც შეეხება თბილისში მყოფი უკრაინელი დევნილებისთვის არსებულ უფასო მუნიციპალურ სერვისებს, კვლავ ძალაში რჩება საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა, მუნიციპალური საბავშვო ბაღების, სახელოვნებო და სპორტული სკოლების მომსახურება.

თბილისში მცხოვრებ უკრაინელ მოქალაქეებს უფასო მომსახურებას უწევს შემდეგი მუნიციპალური ცენტრები: მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი „იმედი“, თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი და მისი სტრუქტურული ერთეულები: აკრობატიკის ცენტრი, ტანვარჯიშის ცენტრი, წყნეთის სპორტული კომპლექსი; თბილისის მერიის მ. ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი, თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი, გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი და მისი სტრუქტურული ერთეულები: გლდანის საცურაო აუზი, კულა გლდანელის სახელობის ჭიდაობის დარბაზი, მუხიანის სარაგბო კომპლექსი, ნაძალადევის სპორტული კომპლექსი; ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარება“, ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი და მისი სტრუქტურული ერთეულები: ლილოს სპორტული ცენტრი, ვაზისუბნის სარაგბო მოედანი, ჩოგბურთის კორტები, ვარკეთილის ჭიდაობის დარბაზი, ლილოს საცურაო აუზი; მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი, თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი, თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმი, თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი, თბილისის კოტე და სოსო წერეთლების მემორიალური ბინა-მუზეუმი, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, თბილისის თეატრი „გლობუსი“, სამეფო უბნის თეატრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება და მისი ფილიალები; თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლა, თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 ხელოვნების სკოლა, თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლა, თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლა, თბილისის მერიის მ. კოსტავას სახელობის №8 ხელოვნების სკოლა, თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლა, თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის №14 ხელოვნების სკოლა, თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა, თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი“, – აღნიშნულია მერიის განცხადებაში.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲐᲔᲠᲘᲪᲮᲐ!!!

„ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲪᲘᲐ **და** **საკითხის რაღაც პოლიტიკურ თემებში გადაყვანა მიზანშეწონილი არ არის. მოვუწოდებ პოლიტიკოსებს, ვისაც თითქოს ჩვენზე მეტად შესტკივა გული ამ პრობლემის მიმართ, თავი დაანებონ პროვოკაციებს“,** – აცხადებს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი **ზურაბ აზარაშვილი** უკრაინელ ლტოლვილებთან დაკავშირებული კითხვის პასუხად.

„ივლისში გამოიცა მთავრობის დადგენილება და მარტიდან სხვადასხვა სასტუმროში განთავსებული უკრაინელი ლტოლვილებისთვის, ასევე მათთვის, ვინც არ არიან სასტუმროებში განთავსებული, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭიროების შემთხვევაში და მათი მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო თითოეულ ოჯახს ეხმარება 300 ლარით. ასევე, თითოეულ ადამიანს, რომელსაც ამისი საჭიროება აქვს, 45 ლარით. მინდა, მოკლე განმარტება გავაკეთო, საიდან მივედით ამ თანხებამდე და თუ როგორი პრაქტიკაა დღეისთვის ეს. მოგეხსენებათ, უკრაინელი ლტოლვილები არიან სხვადასხვა ქვეყანაში გადანაწილებული და ყველა ქვეყნის პრაქტიკა და მაგალითები ვნახეთ. ასევე, ჩვენს შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, როცა ქვეყანაში გვყავს 300 ათასამდე ჩვენი დევნილი თანამემამულე, ასევე ახლოს ყოფილიყო მათი დახმარების პაკეტთან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ავიღეთ ის მაქსიმუმი, რასაც ვაკეთებთ ჩვენი თანამემამულეებისთვის, ჩვენი დევნილებისთვის. მათთვისაც ზუსტად ეს თანხებია განსაზღვრული, რასაც ჩვენ ვაძლევთ ბინის საქირავებლად ყოველთვიურად. ასევე, 45-ლარიანი დახმარება ხელზე, რასაც თითოეულ ჩვენს დევნილს ვაძლევთ ყოველთვიურად. ასევე, ამ თანხების ფარგლებში, ჩვენი მხრიდან ხდება ბინების შეთავაზება სხვადასხვა რაიონში. ჩემმა თანამშრომლებმა მოიძიეს ბინები, სადაც შეიძლება, ქირაობა და ამ შეთავაზებებსაც ისინი უკეთებენ“, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების გაუმჯობესების 7 წელიწადი

შვიდი წლის წინ, სუსის ცალკე სტრუქტურად დაფუძნებით, ჩვენ გავატარეთ უმნიშვნელოვანესი რეფორმა, შეიქმნა დამოუკიდებელი, ძლიერი სამსახური, რომელიც არის ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე, რომლის მთავარი მიზანია ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს, მისი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსების შვიდი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მოგესალმებით ყველას დიდი პატივისცემით! დიდი პატივია ჩემთვის დღეს აქ ყოფნა. გილოცავთ, პირველ რიგში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსების დღეს, სამსახურის ხელმძღვანელობას, პირად შემადგენლობას, თითოეულ თანამშრომელს.

შვიდი წლის წინ სუსის ცალკე სტრუქტურად დაფუძნებით ჩვენ გავატარეთ მნიშვნელოვანი რეფორმა; მას შემდეგ შეიქმნა დამოუკიდებელი, ძლიერი სამსახური, რომელიც არის ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე, რომლის მთავარი მიზანია ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს, მისი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა.

ამ დროის განმავლობაში სამსახური ჩამოყალიბდა ქვეყნისთვის საკვანძო, თანამედროვე სტანდარტების ინსტიტუტად, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას მრავალი მიმართულებით და ამის თაობაზე ბატონმა გრიგოლმა ვრცლად ისაუბრა. იქნება ეს ანტიტერორისტული საქმიანობა, თუ შიდა და გარე საფრთხეების გამოვლენა, პრევენცია და აღკვეთა, კორუფციისა და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის და სუვერენიტეტის დაცვა. თქვენი საქმიანობის სპეციფიკა ისეთია, რომ თქვენი ყოველდღიური, ზოგჯერ მაღალ რისკებთან დაკავშირებული შრომა ხშირად შეუმჩნეველი რჩება ფართო საზოგადოებისთვის. მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ძალზედ ვაფასებთ იმ უდიდეს წვლილს, რომელიც თქვენ შეგაქვთ ჩვენი მოქალაქეების და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერებაში“, – აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების სახელით, სამშობლოსა და ხალხის მსახურებისთვის სუს-ის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა.

„პირადად ჩემი, საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების სახელით მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ ამ შრომისათვის, ამ ერთგულებისთვის, ამ თავდადებისა და პროფესიონალიზმისთვის, ჩვენი სამშობლოსა და ხალხის მსახურებისთვის. რა თქმა უნდა, გამოწვევები ძალიან ბევრია. შემთხვევით არ არის, რომ სწორედ თქვენი სამსახურის წინააღმდეგ მიმდინარეობს მიზანმიმართული, ორკესტრირებული შეტევა, შიდა თუ გარე მტრების მიერ. მაგრამ მე მჯერა, რომ ეს ბრძოლა თქვენ კიდევ უფრო გაგაძლიერებთ და ამის შემდეგ კიდევ უფრო მტკიცე, ძლიერ სამსახურად ჩამოყალიბდებით.

ასევე მინდა, ძალიან მოკლედ შევეხო, რომ ჩვენ ამ 30 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი განსაცდელი გამოვიარეთ. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატიაა და, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია გამოწვევები. მთავარი არის ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია, ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული და არ ვრცელდება ჩვენი კონტროლი ჩვენს ძირძველ ტერიტორიებზე. ამას გარდა, რა თქმა უნდა, ემატება ის საფრთხეები, რომელიც მიმდინარეობს შიდა დესტრუქციული ძალების მხრიდან. რა თქმა უნდა, ამაშიც მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო თქვენი როლი, რომ დროულად ხდება როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეების გამოვლენა, აღკვეთა, პრევენცია. მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა, ყველაზე მთავარი, რაც ჩვენ ყველას გვახარებს არის ის, რომ თქვენი პირადი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა არის გულანთებული პატრიოტი, რომელიც ემსახურება და იცავს ჩვენს სახელმწიფოს. კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“...

მიწვეულ სტუმრებს სიტყვით ასევე მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა **გრიგოლ ლილუაშვილმა.** ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ თანამშრომლებს და გუდაურში, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპული ეკიპაჟის წევრებს, მაშველებსა და ექიმებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაარსების შვიდი წლისთავთან დაკავშირებით, სუს-ის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა სამსახურის თანამშრომლები დააჯილდოვა.

* * *

იანვარ-ივნისის საშუალო ეკონომიკური ზრდა 10.5% გამოვიდა.

ივნისში გაგრძელდა ეკონომიკური ზრდის დადებითი დინამიკა და ეკონომიკურმა ზრდამ 7.25 შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ იანვარი-ივნისის საშუალო ზრდა გამოვიდა 10.5%, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე 1 აგვისტოს განაცხადა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ ეს დინამიკა შევინარჩუნოთ. მინდა, ასევე, ჩვენს ხალხს ვუთხრა, რომ მაგალითისთვის, ივნისში დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა გაიზარდა 20.4%-ით, ხოლო ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 6 641 ერთეულს გაუტოლდა, რაც დაახლოებით 36%-ით მეტია გასული თვის მონაცემთან შედარებით.

ასევე, მინდა გითხრათ, რომ ექსპორტი გაიზარდა დაახლოებით 28%-ით და შეადგინა 448 მლნ დოლარი.

გაჯანსაღების ტენდენციები მაღალია ტურიზმის სექტორშიც. ჩვენ ამის თაობაზე ხშირად ვსაუბრობთ. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღდგენის დონე ივნისში იყო 88.7%, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 300 მლნ დოლარზე მეტი. ასევე, ფულადი გზავნილების მოცულობა არის საგრძნობლად გაზრდილი და ივნისში შეადგინა 427 მლნ დოლარი. შესაბამისად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდება და მაღალი ეკონომიკური ზრდა გვექნება წელს. შვიდ თვეში ბიზნესს დღგ-ს ზედმეტობის სახით 1 273 000 000 ლარამდე დაუბრუნდა“.

მისივე თქმით, საკრედიტო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი კვლავ BB სტაბილურ დონეზე შეაფასა.

„უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს BB რეიტინგის მქონე ქვეყნებთან შედარებით გააჩნია, როგორც საიმედო და ეფექტიანი პოლიტიკის ჩარჩო, ასევე, მმართველობის ღია ინდიკატორები.

საქართველოს ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მაღალ დონეზე ფიქსირდება, რაც უკვე აღვნიშნე, რაც მთავრობის ვალის მშპ-სთან წილის სტაბილიზებას უწყობს ხელს, ხოლო მსგავსი რეიტინგის მქონე ქვეყნებთან შედარებით გააჩნია მნიშვნელოვნად მაღალი მმართველობის ინდიკატორები“...

* * *

2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები და ჯამში, უახლოეს სამოთხ წელიწადში, 50%-იანი მატება გამოვა, თქვა ბოლოს ღარიბაშვილმა.

ირაკლი კობახიძე: ეს არამარტო ზეწოლა, არამედ გაუგონარი მოვლენაა!

...რაც შეეხება კონკრეტულად მოსამართლის თემას, ჩვენ ვთქვით ასეთი რამ – თუ ეს მართლა მოხდა, თუ საელჩოს თანამშრომელმა დაიბარა მოსამართლე ჩხიკვაძე, ელჩის სახელით მოსთხოვა მას ანგარიში კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ამ ნიადაგზე მოხსნა ის რამდენიმე დღის წინ დაგეგმილი ვიზიტიდან, ეს არის არამარტო ზეწოლა მოსამართლეზე, არამედ ეს არის გაუგონარი მოვლენა. როდესაც ასეთი რამ ხდება, წარმოუდგენელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთი რამ, რომ გაემიჯნოს ელჩი ასეთ მომხდარ თუ შესაძლო შემთხვევას.

თავის დროზე, როცა ნაცმოძრაობის ტელევიზიებმა ასწიეს კამპანია ამასთან დაკავშირებით, გახსოვთ, რომ ისინი, „ნაცმოძრაობის“ მედიასაშუალებები ადანაშაულებდნენ საელჩოს ასეთ ზეწოლაში. ჩვენ ვამბობდით, რომ ამას საელჩო არ იკადრებდა, მაგრამ ამის შემდეგ ხდება, რომ კითხვები დაისვა დეპუტატების მხრიდან, ამ კითხვაზე საელჩოს მხრიდან პასუხი არ გაიცა, აქ საზოგადოება არის გაურკვევლობაში. შესაბამისად, მარტივად არის საქმე, დაისვა კითხვა, ელჩს რომ ეთქვა ასეთი რამ არ მომხდარა ან მოხდა და ეს არის მიუღებელი, დამთავრდებოდა ყველაფერი ერთ წამში. ეს არ მოხდა სამწუხაროდ, ამაზე ჩვენ ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას... – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

ირაკლი ქადაგიშვილი: არანაირი მიზანი არ გვაქვს, რომ აშშ-ს და მის ელჩს რაიმე სახის დესტრუქცია მოვუწყოთ!

ჩვენ არანაირი მიზანი არ გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოში მის ელჩს რაიმე სახის ორგანიზებული დესტრუქცია მოვუწყოთ ან შეტევა განვახორციელოთ, ეს არის გამორიცხული, – ამის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.

„ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა გაჩნდა და ელჩის მიმართ ეს კითხვები არის დასმული. ის, რომ რაღაც საკითხები გაირკვეს, აღქმული არ უნდა იყოს, როგორც თავდასხმა. პირიქით, ეს არის მცდელობა, რომ გაურკვეველი საკითხები არ იყოს და ყველა საკითხი ღია, ნათელი იყოს. თუ რას ნიშნავს ელჩებზე თავდასხმა, შეგიძლიათ, ნახოთ ოპოზიციური არხებით გასული მუქარისა და ბულინგის შემცველი განცხადებები და სიუჟეტები კელი დეგნანის მიმართ“...

გურამ მაჭარაშვილი: განცხადებებშიც ემჩნევათ, რა ჭკუის პატრონები არიან სააკაშვილის ადვოკატები

დამოუკიდებელი **დეპუტატის, გურამ მაჭარაშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი ციხეში იმიტომ არ არის, რომ ქართული პოლიტიკა უნდოდა.**

აღნიშნული კომენტარით მაჭარაშვილი გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილი სრულად ემიჯნება ქართულ პოლიტიკას და „ნაციონალურ მოძრაობას“.

„ამაშიც ემჩნევათ, რა ჭკუის პატრონები არიან მიხეილ სააკაშვილის ადვოკატები. მიხეილ სააკაშვილი ციხეში იმიტომ არ არის, რომ ქართული პოლიტიკა უნდოდა. ახლა ამბობენ, ქართული პოლიტიკა რომ არ უნდოდა, იქნებ, ციხიდან გამოუშვათო. ასეთ განცხადებებს ეტყობა, სააკაშვილს რა ადვოკატები ჰყავს დაქირავებული. მას ჩადენილი აქვს სისტემური, კონკრეტული დანაშაული და უნდა შეასრულოს მართლმსაჯულების გადაწყვეტილება. სამართლებრივად როგორც არის გათვალისწინებული, ზუსტად ისე მიჰყვებიან იუსტიციის სამინისტრო და სამედიცინო სფერო პროცესს. მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ პატიმარს დასკვნა არ ჰქონდეს იმის თაობაზე, რომ მისი განკურნება ქვეყანაში შეუძლებელია და ის საზღვარგარეთ გადაყვანას მაინც ითხოვდეს“...

მხარდაჭერა მოწოდებისა, რომელსაც სიკეთისკენ მივყავართ

გულდასმით წავიკითხე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიმდინარე წლის 22 ივლისს გამოქვეყნებული წერილი-მოწოდება „დგება დრო, სიკეთის რევანშისა“ რომლის ავტორი, ღირსეული მამულიშვილი, მსოფლიოში ცნობილი ქართველი ფალავანი ბატონი გურამ საღარაძეა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲓᲒᲔᲑᲐ ᲓᲠᲝ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡᲐ...

ᲒᲐᲛᲐᲛᲖᲔᲓᲔᲚᲘᲐ სიკეთის ბორტზე შეფუთვის კამპანია, რომელიც რადიკალურმა ოპოზიციამ და მათმა მიმდევრებმა სამარცხვინოდ ააგორეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. არადა, რაც ამ ადამიანმა და მისმა ოჯახმა უანგაროდ გაიღო და კვლავაც არ იკლებს წყალობას თავის ქვეყანას, ჭეშმარიტად მადლი ღვთიური. ამ მადლს ეკვრენენ ადგას წმინდა სამების საკათედრო ტაძარი დედაქალაქში. სრულიად საქართველოში აღდგენილ-გახანძლულია 540 ეკლესია-მონასტერი და ისტორიული ძეგლი. ქველმოქმედების მადლი გადასწვდა ეროვნული კულტურის, ხელოვნების, სპორტის გაძლიერებას, განათლების სფეროს. ხელოვნებისა და სპორტის 500-ზე მეტი მოღვაწე სისტემატურად იღებს სოციალურ დახმარებას. ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ წლების წინათ განაცხადა, რომ თავისი ქონების არანაკლებ 90%-ს საზოგადო და საქვეყნო საქმეს მოახმარდა.

დიახ, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ქველმოქმედების ასეთ მოგულობას, რომელიც 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს, ანალოგი არ მოეძებნება საქართველოს ისტორიაში. რადგან თუნდაც ბრიტანული გამოცემის „დეილი ექსპრესის“ აღიარება, რომ ქართველი ბიზნესმენი უმსხვილესი ლერწმი დონორია მსოფლიოში კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დედამიწის ზურგზე ალბათ არ მოიძებნება ქვეყანა, რომლის კეთილდღეობისთვის თავგადადებულ პიროვნებას, მტრად აცხადებდნენ ამავე ქვეყნის უმადური შვილები, თვალს იბრმავებენ და გონებას იხშობდნენ მზოლოდ ინატომ, რომ პირადი და პარტიული ინტერესები წამონიან წინ. მაგრამ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ბოლოს-ბოლო ეამბობოდა: ხომ უნდა დადგეს დრო, რა მაგალითის აძლევთ ქვეყნის მომავალ თაობას სიკეთის დაუნანებლობით, უმადურობით, დიდი პატრიოტის მტრად გამოცხადებით. დასასანანია ეს ყველაფერი, მაგრამ არის იმედიც - დღეთან კურთხეულ საქართველოში სიკეთე ფოფოდ გაიმარჯვებს ბორტზე. ივანიშვილი ხალხთანაა, ხალხი — ივანიშვილთან!

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი — „არიერგარდი“ გამოხატავს რა თავის რიგებში გაერთიანებული ცხოვრებით გამობრძმედილ ადამიანების ურყევ რწმენას, მტკიცედ უჭერს მხარს ქვეყნის საკეთილდღეოდ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას.

ღირსი იყოს ჩვენი მფარველი!

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს — „არიერგარდის“ გამგეობის სახელით

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲦᲐᲠᲐᲫᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19.07.2022

ვაი, თქვენ საცოდავებო, ისიც კი არ იცით, რომ თქვენი აზროვნებით, რომელიც არახამიას დონემდე დაიყვანეთ, თავადვე გაუთხარეთ სამარე საკუთარ დასასრულს.

ბრძენო ქართველებო, გთხოვთ გადახედოთ „ქართული ოცნების“ გუნდს და შეადაროთ ისინი „ნაცმოძრაობის აქტივს“?! ან დღევანდელი მთავრობის შემადგენლობა სააკაშვილის დროინდელ მთავრობას - ქობალიებს, კალმახელიძეებს, ბარამიძეებს, კეზერაშვილებს, მერაბიშვილებს, ადეიშვილებს და მათ მსგავსებს და აუცილებლად მიხვდებით, ვინაა ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, ვის უნდა ქართული სახელმწიფოს გაძლიერება. და ვინ იმეტებს თამარის, დავითის, ერეკლეს, რუსთაველის ქვეყანას მონობისთვის, ვინ უნდა გავაძევოთ ქვეყნიდან და ვის გვერდით გავერთიანდეთ...

აქვე მინდა მივესალმო, ჩემს გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“, მის კოლექტივს, რომლებიც ყოველთვის იდგნენ სიმართლის, სიკეთის სადარაჯოზე და დღესაც, როგორც ერთგული ჯარისკაცები ემსახურებიან საქართველოს გადარჩენას, გამთლიანებას და აღორძინებას.

მივმართავ ყველას, ვისაც უყვარს სამშობლო, ჩვენი ღვთივკურთხეული ქვეყანა:

დღევანდელ ურთულეს კრიზისულ ვითარებაში გვერდით დაუდექით გაზეთს, რომელიც თითოეული ჩვენგანის მსახურია, გავაძლიეროთ იგი და ამით სამსახურს გავუწევთ ქვეყნის მდგრადობას და ჩვენს სიკეთეს!...

ᲜᲐ�პᲝᲚᲔᲝᲜ ᲥᲐᲠᲥᲐᲨᲐᲫᲔ



ᲓᲘᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲖᲔ ᲤᲐᲡᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲘᲖᲔᲚᲖᲔ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲐ,

ᲝᲠ ᲗᲕᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ..

ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲖᲔᲐ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲭᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲐᲓ ᲜᲐᲠᲩᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ ᲘᲡᲔᲗᲘᲗᲘᲕᲔ ᲘᲐᲤᲨᲘ ᲘᲫᲔᲑᲔᲑᲐ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲣᲑᲡᲘᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲚᲘᲢᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 8 ᲗᲘᲗᲘᲗᲠᲡ ᲣᲢᲝᲚᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲖᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲙᲚᲔᲑᲓᲐ.

რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ანტიმონოპოლიურ სამსახურს ორკვირიან ვადაში ნავთობზე ფასის მატების შესწავლა დაავალა?

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** მიიჩნევს, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ცდილობენ საკუთარი მოქალაქეების უზრუნველყოფას შედარებით იაფი საწვავით. მაგალითად, ბაიდენი სერიოზულ ვიზიტს მართავს, თუ მან მოახერხა ირანის და საუდის არაბეთის შერიგება, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმ მხრივაც, რომ ამან შეიძლება ნოემბრის არჩევნებში გამარჯვება მოუტანოს დემოკრატებს, რადგან აქ მთავარია ნავთობზე ფასების დაცემა.

„მაგრამ ჩვენ ნუ გაგვიხარდება, საქართველოში მაინც არ დაეცემა საწვავზე ფასები. რატომ არის, რომ რუსეთი 50%-იანი დისკონტით ყიდის ნავთობს ინდოეთში, ანუ 50%-ით იაფად, ამ დროს კი ჩვენ სანქციებს არ მივერთებივართ რუსეთთან, გვაქვს ვაჭრობის უფლება და მაინც არ ვყიდულობთ ნავთობს იაფად. იქნებ, ვყიდულობთ და ჩვენთან მაინც 4 და 5 ლარი ღირს საწვავი? ჩვენ ხომ გვაქვს კანონიერი უფლება, მოვითხოვოთ ფასების დაწევა? თითქოს ჩვენმა პრემიერმა რაღაც დავალება მისცა ანტიმონოპოლიურ სამსახურს, ორკვირიან ვადაში შეესწავლათ ნავთობზე ფასების მატება, სამი თვე გავიდა მას მერე, ვინმემ გვითხრა ამის შედეგი რა იყო?“ — აცხადებს სოსო ცინცაძე .

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.

ᲗᲐᲕᲡᲚᲐᲤᲓᲐᲡᲮᲛᲣᲚᲘ, ᲐᲛᲐᲖᲠᲖᲔᲜᲘ ᲨᲐᲕᲜᲝᲓᲐᲠᲐ...

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ „ᲤᲔᲘᲙ“ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲓᲒᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ!!!

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ „TV ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲡ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲚᲐᲫᲔᲡ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ.

„ᲛᲘᲜᲓᲐ გამოვეხმაურო TV პირველის ეთერში გასულ სიუჟეტს, სადაც რეპორტაჟის ავტორი მიზანმიმართულად ახდენს ფაქტების დამახინჯებას, თუმცა როგორც არ უნდა დაალაგო „ფეიკი“ , საბოლოოდ სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს. სანამ მთავარ საკითხზე გადავიდოდე, მინდა საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული წარწერა განთავსებულია ჩემი ოჯახის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე.

ბატონო ნოდარ, წლებია თქვენი მხრიდან ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ მიმდინარეობს მიზანმიმართული დისკრედიტაცია.

ჩემი პოლიტიკური ცხოვრების დაწყების დღიდან დაიწყო ჩემი და ჩემი ოჯახის მისამართით შეთითხნილი ბრალდებების კორიანტელი.

ყველა ამ „ფეიკ“ სიუჟეტის უკან იდგა ნოდარ მელაძე!!! დიახ, სწორედ მსგავსმა ცილისწამებამ შეიწირა მამაჩემის სიცოცხლე, რადგან ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა ღირსება, ადამიანობა და სამშობლოს სიყვარული, რომელიც ასე უცხოა თქვენთვის. მესმის თქვენი გაკვირვება აღნიშნული წარწერის გამო, რადგან ძალიან შორსაა თქვენგან „კაცობა, ღირსება და პატრიოტიზმი“.

უცხოა თქვენთვის სამშობლოს სიყვარული და ბრძოლა იმისთვის, რომ შენს ხალხს შეუქმნა უკეთესი მომავალი. ჩემი ცხოვრების დევიზი ყოველთვის იყო იმ ტრადიციების და ღირებულებების გაგრძელება, რომელიც ჰქონდა ჩვენს წინაპრებს. სწორედ ამისთვის ვიბრძოდი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, მაგრამ არ მახსოვხართ თქვენ და არც თქვენი პოლიტიკური ლიდერები. არც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მახსოვხართ, არც თქვენ და არც თქვენი პარტიული თუ სატელევიზიო ხელმძღვანელები. დიახ ბატონებო, მე როცა იარაღით ხელში ვიცავდი ჩემი სამშობლოს ღირსებას, თქვენ თბილ ოთახში მოკალათებული, ტელევიზორს უსხედით.... არც პანდემიის დროს მახსენდება თქვენი ხალხის გვერდში დგომა, გარდა პროვოკაციული განცხადებებისა. მე კი ჩემი დაარსებული ფონდით და მეგობრების თანადგომით, 2000- ზე მეტ ოჯახს გავუწიეთ დახმარება ურთულეს დროს.

ჩემი 30-წლიანი სამუშაო გამოცდილება და ცოდნა სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისა მაძლევს შესაძლებლობას ვიდგე იქ, სადაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, ეს იქნება საჯარო სამსახური თუ კერძო სექტორი. ჩემთვის ყოველთვის იყო და არის პრიორიტეტი ქვეყნის ერთგულება და ჩვენი მოსახლეობის სამსახურში ყოფნა.

რაც შეეხება გუშინდელ სიუჟეტს, ბატონო ნოდარ, თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ როგორც მე და ჩემს ოჯახს, ასევე ჩემს ულამაზეს ქალაქს, რეგიონს და მის მოსახლეობას“.

№109-110. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 3-4 აგვისტო, 2022 წელი.



საფრანგეთიდან წამოსულმა შხამმა (ვგულისხმობ 1789 წლის საფრანგეთის „დიდ რევოლუციას“, ვოლტერიანობას, 1968 წლის ე. წ. „სექსუალურ რევოლუციას“, ნეოლიბერალიზმსა და „გეი-აღლუმებს“) მთელ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი, გარდა ისლამური სამყაროსი, ჩინეთის და რუსეთისა.

უხილავ ძალთა ზემოქმედება ჩვენს ცხოვრებაზე

დიდ შეცდომას სჩადიან ის პოლიტიკოსები და ისტორიკოსები (ასეთები კი დიდი უმრავლესობაა), რომლებიც არ ითვალისწინებენ მეტაფიზიკურ ძალებს (ზოგი უცოდინრობით, ზოგი – ზედაპირული მიდგომით), რომელთა ხელშია ფაქტობრივად ყველაფერი. მაგალითად: საქართველო არ იარსებებდა, რომ მას, როგორც ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, არ იფარავდეს ღვთაებრივი ძალა, ასევე მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით, ცოდვაში ჩაძირულს...

კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი...

ბოროტება მხოლოდ საძართველოში არ მეფობს, იგი მსოფლიოშია გაბატონებული. „მთელი ქვეყანა ბოროტებაშია დანთქმული“ (პირველი იოანესი, თ. 5, 19). გმინავს მთელი მსოფლიო ბოროტების ქვეშ, სანამ არ დადგება ჭამი ქრისტეს მეორედ მოსვლის და საბოლოო განკითხვის. მანამდე კი ამძვეყნად ბოროტი ბობოძრობს, ხოლო ჩვენ ყველანი ამ ქვეყანას ვეკუთვნით.

საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა საძართველო აზიის კუთვნილებად გამოაცხადა. მან უბრალოდ არ იცის და ვერც წარმოუდგენია, რომ „თითოეული ინდივიდუუმის ყოფიერება არ დაიყვანება მხოლოდ სივრცეში განცალკევებულ მოცულობებზე და დროის მიხედვით დანაწევრებულ პროცესებზე, არამედ თავის თავში შეიცავს კიდევ უფრო ღრმა, ზედროულ და ზესივრცულ მხარეს, რომელიც სამყაროს ანიჭებს ორგანული მთლიანობის ხასიათს“ (Н. О. ЛОССКИЙ, УСЛОВИЯ АбСОЛЮТНОГО ДОбРА, МОСКВА 1991, გვ. 39).

ამიტომაა, რომ საფრანგეთიდან წამოსულმა შხამმა (ვგულისხმობ 1789 წლის საფრანგეთის „დიდ რევოლუციას“, ვოლტერიანობას, 1968 წლის ე. წ. „სექსუალურ რევოლუციას“, ნეოლიბერალიზმსა და „გეი-აღლუმებს“) მთელ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი, გარდა ისლამური სამყაროსი, ჩინეთის და რუსეთისა.

ასევე გერმანიიდან წამოსული შხამი (მემარცხენე ჰეგელიანელობის ათეიზმი) მარქსიზმის სახით მთელ ქვეყანას მოედო, მათ შორის, საქართველოს. მსოფლიო პროლეტარიატთან კავშირი არ უნდა დავკარგოთო – არიგებდა მთელ საქართველოს ქართველ მარქსისტთა ბელადი ნოე ჟორდანია.

1848 წელს მარქსმა და ენგელსმა რომ გამოსცეს „კომუნისტური მანიფესტი“, ეს კი იცოდა ჟორდანიამ და გულშიც იხუტებდა, მაგრამ თითქმის იმავე დროს, 1851 წელს, გარეჯის უდაბნოს რომ თავს დაესხნენ ლეკთა ბრბოები და იქ მოღვაწე ბერები წამებით დახოცეს – ეს და მსგავსი ფაქტები არც იცოდა და არც აინტერესებდა (გარეჯში ლეკთაგან მოწყვეტილ წმ. მამებზე იხ. დეკანოზ ზაქარია მაჩიტაძის „ქართველ წმინდანთა ცხოვრება“). ნოე ჟორდანიას ასეთი ზნეობრივი ნიჰილიზმი იყო იმის მიზეზი, რომ მან თავისი წერილებით სიცოცხლე მოუშხამა ილია ჭავჭავაძეს და, მისი აგიტაციის წყალობით, იგი მოკლეს. ასევე ნ. ჟორდანიას „პრეზიდენტობის“ დროს მოკლეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე (საძაგლიშვილი) და ეს მკვლელობა იმჟამინდელმა „მენშევიკურმა“ მთავრობამ არათუ გამოიძია, არამედ ყოველგვარი ძიება აკრძალა.

როგორც ვთქვით, მძლავრობს ბოროტება და ბოროტი მთელ მსოფლიოში...

„დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით“ (გალაკტიონი).

მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსი, ალეკსეი ლოსევი აცხადებს:

„როგორც არ აფთრდება ნიჰილისტური და გადაგვარებული განმანათლებლობა, ეშმაკი მაინც – სრულიად რეალური ძალაა; და ვერ ამჩნევენ ეშმაკს მისი უსასრულო ბოროტების ძალით მხოლოდ ისინი, ვინც თავად იმყოფებიან მის მსახურებაში და დაბრმავეულნი არიან მისი ჰიპნოზით. არ უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობენ მხოლოდ ის ბოროტი ძალები, რომლებიც ჩვენთვის ნაცნობია კლასიკური რელიგიებიდან. ამჟამინდელმა ეშმაკმა მიიღო ფორმები ფილოსოფიური, მხატვრული, მეცნიერული და ა. შ. თუმცა, უფრო ხშირად ეს ეშმაკი დაწვრილმანდა, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, თუკი ავიღებთ ინდოეთის ეშმაკეულობას, სავსებით შეიძლება ითქვას, რომ ბჰაგავატ-გიტას ღრმა მელანქოლიასთან შედარებით, ბოდლერის უარყოფა და პესიმიზმი გვეჩვენება პანსიონის გოგონას კაპრიზებად ზრდასრული მამაკაცის ცრემლებთან შედარებით... არსად არავის არ უარუყვია ღმერთი უბრალო უარყოფის გამო, ამას ყოველთვის აკეთებდნენ ლიბერალები... ამ წმინდა უარყოფაში - ლიბერალიზმის სიცოცხლისეული არსია“ (იხ. ალეკსეი ლოსევი: მითის დიალექტიკა, თბილისი 2017).

ჩვენი, ბოროტებასთან მებრძოლი ქართველობის ამოცანა ასე მესახება: რასაკვირველია, ანტიქრისტეს მოსვლის არდაშვებას ვერ შევძლებთ, ისევე როგორც ქრისტეს მეორედ მოსვლასა და განკითხვის დღეს სამყაროს განადგურებას, მაგრამ ამ პროცესის **დროებითი შეჩერება** უნდა შევძლოთ და ყველანაირად უნდა შევეწინააღმდეგოთ ლიბერალიზმის მახინჯი ფორმების გაბატონებას.

ვიქტორ რცხილაძე

მაგრამ ახლა მსურს, საგანგებოდ უარყოფით ძალთა ზემოქმედებაზე ვილაპარაკო, რომელიც ამღვრევს და კორტნის ჩვენს საზოგადოებრივ სხეულს და სიცოცხლეს გვიშხამავს.

ავიღოთ „დამოუკიდებელი“ საქართველოს ბოლო ორი პრეზიდენტი. ვჯერ ამ ძალმა პრეზიდენტმა რა ქნა: ოლონდ ე. წ. „დასავლეთს“ თავი მოაწონოს და, წამოიწყო ერის ჭანსალი ნაწილისთვის გაუგონარი ფსევდოუფერიგება, ასევესავე ფსევდოოპოზიციასთან, ფაქტობრივად, დამნაშავე, საქართველოს მტერ ე. წ. „ნაცმოძრაობასთან“, რამაც ამ უკანასკნელთაგან მოწონება დაიმსახურა.

რაც შეეხება მარგველაშვილს, მასში ჩაგუდებულმა ბოროტებამ ძეჩოში ხელის წაკიდებით მიიზიდა იგი საააკაშვილთან გორის სამხედრო ჰოსპიტალში და თურმე „სამ საათს ბჭობდნენ“. ნეტავ რას ბჭობდა ეს ორი ყავლგასული სალახანა?! ორივეს, როგორც მარგველაშვილს, ასევე ძალგატონ სალომეს, ზუსტად შეეფერება რუსთაველის განსაზღვრება:

„კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“.

როგორც იტყვიან – ამათ დამნიშნავს მიეცეს ჩვენი ცოდვა!

მაგრამ რა არიან მათთან შედარებით წინა პრეზიდენტები: სწორედ მათ დროს დატრიალდა მე-20 საუკუნის „დამოუკიდებელ“ საქართველოში სისხლისმღვრელი ომები და ლტოლვილთა უწყვეტი ნაკადების დინება, შიმშილი, ქართველთა გახლეჩა და სააკაშვილის სადისტური რეჟიმის დამყარება ციხეებში, ასევე საქართველოს ძირძველი მიწების გასხვისება.

ცხადია, ამ პრეზიდენტების ბოროტების წყაროა მათში ნარცისიზმისა და ეგოცენტრიზმის შერწყმა. ისე, ასეთ „შერწყმაზე“ შეიძლება პარლამენტის ნებისმიერი წევრის მიმართ ვილაპარაკოთ. გამოჩენილი ფსიქოლოგი ფილიპ ლერში ეგოცენტრიზმს განიხილავს სწორედ ნარცისიზმთან კავშირში. მისი აზრით, ნარცისიზმის დამალულ სახეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც პიროვნება თავის თვითღირებულების გრძნობას ობიექტურ ღირებულებებზე მიმართული პათოსით ფარავს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, ამბობს ფ. ლერში, როდესაც ფარისევლობაზე ვლაპარაკობთ (Philipp Lersch, Der Aufbau des Charakters, Leipzig 1942, გვ. 87).

მაგრამ არსებობს ბოროტების უფრო ღრმა წყარო, რომლის განმარტებასაც გვთავაზობს კირკეგორი (სიორენ კირკეგორი, შიშის ცნება, თბილისი 2014, გვ. 193). ავიღოთ სააკაშვილის მაგალითი. ხშირად, სააკაშვილის დამნაშავეობის არაღიარებასა და მოუნანიებლო ას ხსნიან პოლიტიკური მოტივებით, ე. ი., რომ მისი მონანიების შემთხვევაში იგი გახდება პოლიტიკური გვამი და უკვე საკუთარი მომხრეების თავდასხმის ობიექტი. რასაკვირველია, ასეთი მსჯელობა გარკვეულ ლოგიკას შეიცავს. მაგრამ, საქმეც ისაა, რომ სააკაშვილი, ამ ნაბიჯის გადასადგმელად, პირველ ყოვლისა საკუთარ თავში აწყდება წინააღმდეგობას. განვმარტოთ უფრო დაწვრილებით.



მისი მხრიდან პოლიტიკური მონანიება იქნებოდა კეთილი აქტი, სიკეთე, რომელიც დააწყნარებს მის თავგზააბნეულ მომხრეებს და მათ თავიანთ ოჯახებს დაუბრუნებს. თუმცა სააკაშვილში არის ის, რაც სიკეთეს უპირისპირდება. **ეს გახლავთ შიში სიკეთის წინაშე (დემონური)**. „დემონური მხოლოდ მაშინ იკვეთება ცხადად, - წერს კირკეგორი, როდესაც მას სიკეთე ეხება, რომელიც მის საზღვარს გარედან უახლოვდება“. ეს სიკეთე, რომელიც მას „გარედან უახლოვდება“, ჩვენს შემთხვევაში გახლავთ მონანიების მოთხოვნა, რომელსაც იგი ყველანაირად ირიდებს, საეჭვო ისტერიკები ემართება და შიშის ჩახშობას გამაბრუებელი წამლებით ცდილობს.

ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის მეტად საინტერესო ცნობებს ქართული წარმოების განვითარებასა და ისტორიაზე ხშირად გვაწვდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული და ბიოტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, ჩვენი გაზეთის ექსპერტი მალხაზ დოლიძე.

ამჯერად ბატონ მალხაზს მსოფლიოში ისეთ აღიარებულ ქართულ ბრენდებზე ვთხოვეთ საუბარი, როგორიცაა „ლაღიძისა“ და ქართული მინერალური წყლები.

მზე პირს იბანს მკურნალ წყალთა შხეფებით...



თუ გინდა იყო ლამაზი ქალი, უნდა დალიო ლაღიძის წყალი

– გატონო მალხაზ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ყველას გვესმოდა ასეთი ფრაზა – ოღონდ დამოუკიდებლები ვიყოთ და მარტო ჩვენი ბორჯომი, ღვინო და მწვანილი გვარჩენსო. ეს რა თქმა უნდა, ქართული ღვინისა და მინერალური წყლების მსოფლიო აღიარებიდან იყო ასე თამამად ნათქვამი, მაგრამ იმ დროისთვის ალბათ „ლაღიძის წყალი“ ყველაზე პოპულარული გახლდათ დედამიწის მეექვსედზე გადაჭიმულ უზარმაზარ იმპერიაში.

– ლაღიძის წყლები, ანუ შემდგომში ლიმონათი, როგორც მას სტალინმა შეარქვა, მე-19 საუკუნის მიწურულიდან არის რუსეთის იმპერიაში ცნობილი და შემდგომ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პოპულარულ სასმელად აღიარებული. საბჭოეთის დროს იშვიათად ნახავდით ადამიანს, რომელიც საქართველოში ჩამოსულიყო და რუსთაველის პროსპექტზე ლაღიძის წყალი არ დაეჭაშნიკებინოს. ლაღიძის წყლით მოხიბლული ესენინი, ევტუშენკო და ცნობილი პოეტები ამ სასმელს ლექსებსაც კი უძღვნიდნენ. ცნობილი მეწარმე და მეცენატი მიტროფანე ლაღიძე ღარიბი იმერელი აზნაურის შვილი გახლდათ, რომელიც 14 წლის ასაკში ქუთაისში პეტრე ყოყოჩაშვილისა და პოლონელი ივანოვსკის აფთიაქში მოეწყო შეგირდად. აფთიაქი წამლების გარდა ტკბილ წვენებსაც ამზადებდა. ივანოვსკის გარდაცვალების შემდეგ სასმელის წარმოებას მიტროფანე გაუძღვა. ჯერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი სხვადასხვა ესენციებისგან ამზადებდა გამაგრილებელ სასმელს, ექსპერიმენტებისა და დაუღალავი შრომის შემდეგ ბალახისა და ადგილობრივი ხილის ნედლეულისგან დაიწყო ტკბილი – გამაგრილებელი წვენების შექმნა. პირველად ამხანაგობა დააარსა. აქ შექმნილ ლიმონათს ქუთაისში მეთულუხჩეები დროგებით დაატარებდნენ და ბოთლის ფასი ერთი შაური იყო. 1902 წელს მიტროფანე ლაღიძე ლიმონათის წარმოების შესასწავლად ევროპაში გაემგზავრა. თუ ადრე წყალს ესენციით ამზადებდნენ, ლაღიძემ ნატურალური ხილის ვეუნი გამოიყენა, გამაგრილებელი წყალი გააკეთილშობილა.

– საქართველოში კი ხილის პრობლემა არ არსებობდა, მაგრამ მეწარმეს ალბათ განსაკუთრებული საიდუმლო ჰქონდა ვეუნის დამზადებაში...

– სასმელის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას საუკეთესო პროდუქცია სჭირდებოდა და, როგორც ცნობილია ხილის მოყვანის არეალსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა – მარწყვსა და ჟოლოს ბორჯომში ყიდულობდა, ციტრუსებს – აფხაზეთში, ალუბალს – ქართლში, ვაშლსა და ატამს მხოლოდ გორში. ამბობენ, ვარდი ლაგოდეხის ნაკრძალიდან ჩამოჰქონდაო. პირველი, მცირე ზომის ქარხანა 1900 წელს აუგია ქუთაისში, ორი წლის შემდეგ საყინულეც და ახალი ქარხანაც ააგო, რომელიც ელექტრონით იყო განათებული და როგორც ამბობენ, დღეში 500 ფუთამდე ყინულსაც ამზადებდნენო.

– ქუთაისიდან დაწყებული გამაგრილებელი წყლის პოპულარობა მთელ საქართველოსაც მოედო!..

– ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხარდაჭერით, რომლებიც დიდ პატივს სცემდნენ მიტროფანეს და ქართული წარმოების განვითარებაზეც ზრუნავდნენ, სასმელების წარმოება თბილისშიც დაიწყო და მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის №24) „ლაღიძის წყლების“ მაღაზია გაიხსნა. მაშინ თბილისში ხილეულის ორი ქარხანა არსებობდა, ცნობილი ზემელისა და ვინმე მამულოვისა, მაგრამ მათ ლაღიძის კონკურენციას ვერ გაუძლეს. თბილისში გადმოსვლის შემდეგ „ლაღიძის წყლები“ მთელ საქართველოში პოპულარული გახდა და მალე საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა – 1913 წელს ვენის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი აიღო, 1914 წელს პეტერბურგში კი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. რევოლუციამდე მიტროფანე ლაღიძე სამეფო კარის ექსკლუზიურ მიმწოდებლად ითვლებოდა, რადგან რომანოვები დიდად აფასებდნენ ამ სასმელს.

– გასაბჭოებამ როგორ იმოქმედა ლაღიძის ე.წ. ბიზნესზე?!

– გასაბჭოებამ ყველა ბიზნესს პრობლემები შეუქმნა, ლაღიძის პროდუქციის წარმოება ნაციონალიზაციის შემდეგ ოდნავ შეფერხდა, მაგრამ სულ მალე კვლავინდებურად აღდგა და რევოლუციამდელ მასშტაბებსაც მიაღწია. 1927 წელს ლაღიძემ ქარხანა კლარა ცეტკინის ქუჩაზე ახლადშესყიდულ შენობაში გადაიტანა, სადაც დირექტორი თავად იყო. 1934 წელს უკრაინის მთავრობამ იგი კიევში მიიწვია, მიიწვიეს მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნებშიც, დიდი შემოთავაზებები ჰქონდა უცხოეთიდან, მაგრამ იქ საწარმოების გახსნაზე უარი თქვა, თუ ათქმევინეს, ეს ფაქტია.

– ამბობენ, სტალინი ლაღიძის პროდუქციას დიდად აფასებდაო.

– არა მარტო სტალინი, თუმცა სტალინის დამსახურებაა, რომ იალტის კონფერენციაზე მაგიდას ლაღიძის წყალი ამშვენებდა. ამ სასმელით ისე მოხიბლულა რუზველტი, რომ ამერიკაში 2000 ბოთლიც წაუღია. სასმელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა პოლიტელიტაში. ამბობენ, ხრუშჩოვს ფორთოხლის სასმელი მოსწონდა, ბრეჟნევს მსხლისა და ტარხუნის, მიქოიანს ლიმონისა და მსხლის, სტალინს – ლიმონის. ამბობენ, თვით მიტროფანეც ლიმონს ანიჭებდა უპირატესობასო. 1952 წელს ტრუმენმა სტალინს ათასი ბოთლი „კოკა-კოლა“ გამოუგზავნა. ბელადმა საპასუხოდ ლაღიძის ლიმონათი, კერძოდ მსხლის, ლიმონის, ქლიავისა და შოკოლადის სასმლის დიდი პარტია გაუგზავნა.

– თუ მოეწონათ ოკეანისგაღმელებს ქართული ბრენდი?

– რა თქმა უნდა, მოეწონათ კი არა, აღფრთოვანებული დარჩნენ. სწორედ ამის გამო, 1952 წელს სტალინმა მიტროფანე ლაღიძე, რომელიც მაშინ 83 წლის გახლდათ, საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობასთან არსებული „გლავფრუქტოვოდის“ გენერალურ კონსულტანტად დანიშნა. მიტროფანე ლაღიძეს ევალებოდა მთელ საბჭოეთში გამოშვებული სასმელების ხარისხის კონტროლი და მისი წარმოების გაუმჯობესება.

მიტროფანე ლაღიძე 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

– ბატონო მალხაზ, მსოფლიო ბრენდად ჩვენი „ბორჯომი“ ითვლება, მასთან ერთად კი „ნაბეღლავი“ და სხვა ქართული მინერალური წყლები. მათი წარმოებაც მე-19 საუკუნეში დაიწყო...

– რაც შეეხება ჩვენს „ბორჯომს“, მისი ისტორია, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, თითქმის 2 ათას წელს ითვლის. ბორჯომის ხეობაში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ქვისა და ხისგან გაკეთებული აუზები და ძველი აბანო, სადაც აბაზანების მიღებად მინერალურ წყალს იყენებდნენ. დიდი ივანე ჯავახიშვილი კი აღნიშნავს, რომ უძველეს დროში მას სასმელადაც იყენებდნენო. რაც შეეხება „ბორჯომის“ წარმოებას, მას ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცებს უნდა ვუმადლოდეთ. 1825 წელს გრენადერთა პოლკი ბორჯომის ხეობაში დაბანაკდა. აქ მდინარე ბორჯომელასთან ჯარისკაცებმა ვერტიკალურად ამომავალი თბილი წყლის წყარო ნახეს, რომლის წყალიც თავიანთი პოლკის მეთაურს, თუ არ ვცდები, გვარად პოპოვს მიუტანეს, რომელსაც კუჭის წყლული აწუხებდა. მანაც თავის თავზე გამოსცადა ეს წყალი და რამდენიმე დღეში ტკივილიც გაუყუჩდა. აღფრთოვანებულმა ჯარისკაცებს უბრძანა, რომ წყარო ქვებით შემოეღობათ, იქვე ქოხიც ააგო და ყველას ურჩია ეს წყალი დაელიათ. 12 წლის შემდეგ უკვე ქართველ გრენადერთა პოლკის ექიმმა, გვარად ამირომვმა (ამირიძე) წყლის სინჯები მოსკოვსა და პეტერბურგში გააგზავნა.

სულ მალე ბორჯომის წყალზე და მის თვისებებზე რუსეთის ელიტა ალაპარაკდა და კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-გუბერნატორმა ევგენი გოლოვინმა გადაწყვიტა თავისი ქალიშვილი ეკატერინე ბორჯომში ჩაეყვანა. იგი აქ განიკურნა და მთავარმართებელმაც მინერალური წყლის პირველ წყაროს „ეკატერინსკი“ დაარქვა, მეორე წყაროს კი, რომელიც სულ მალე იპოვეს, თავისი სახელი „ევგენიევსკი“ უწოდა. ეს იყო 1841 წელს.

– ბორჯომის წარმოებაც ალბათ მაშინ დაიწყო...

– ცოტა მოგვიანებით, 1850 წელს ბორჯომში მინერალური წყლების პარკი დააარსეს. 1894 წელს კი ბორჯომის პირველი ქარხანაც აშენდა. ორ წელიწადში მინის წარმოების ქარხანაც ააგეს, ბოთლებს აქ ხელით ბერავდნენ, რაც 1950 წლამდე გაგრძელდა. ბორჯომის სამკურნალო თვისებების შესახებ ცნობა მთელ რუსეთის იმპერიას მოედო. აშენდა სასახლეები, გაშენდა პარკები, სკვერები, სასტუმროები. 1894 წელს ხაშური-ბორჯომის რკინიგზაც გაიყვანეს. იმავე წელს მიხეილ რომანოვმა ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობაც დაასრულა.

„ევგენიევსკის“ წყარო

„ბორჯომის“ ბოთლების დამზადება, XIX ს.

ტფილისური ბაზრები

„ბეზერე“ – ჩვენებურად „ბაზარი“ – სპარსული სიტყვაა და რაიმე საქონლის ყიდვა-გაყიდვის ადგილს ნიშნავს. თავისი მოწყობის წესით ტფილისური ბაზრები იდენტური იყო იმათი, რომლებიც ირანში შაჰ აბასის ბრძანებით შეიქმნა, ამდენად, ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, ბაზართან დაკავშირებულ ტერმინებს სპარსული, ნაწილობრივ კი თურქული ფესვები აქვთ.

ცნობები ტფილისური ბაზრების შესახებ სხვადასხვა ისტორიულ წყაროსა და მოგზაურთა თხზულებებშია დაცული. მაგალითად, ჩ. წ. ა. I საუკუნეში ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი **სტრაბონი,** რომელიც კოლხეთში მოგზაურობისას აღმოსავლეთ საქართველოსაც ეწვია, ფუნდამენტური 17-წიგნიანი ნაშრომის „გეოგრაფიის“, მე-11 ტომწი მთლიანად კავკასიისადმი თხრობისას დღევანდელი ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიას ახსენებს და აღნიშნავს: „ვაჭრობა იბერიაში დიდადაა „განვითარებული – აქ წარმატებით ვაჭრობენ სელით, კანაფითა და ნავთით“.

საინტერესო ცნობებს შეიცავს უცნობი ავტორის მიერ სპარსულად დაწერილი „ქვეყნიერების საოცრებანი“, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება. . მისი თქმით, XI-XIII საუკუნეებში, ტფილისის ბაზრებში დიდი ოდენობით ყიდდნენ თაფლს, მოხალულ ტკბილეულს, ხილს, ღვინოს, ღორის, საქონლისა და ფრინველის ხორცს, მტკვრის ნაირგვარ თევზეულს. XIII საუკუნეში საქართველოში უკვე იცნობდნენ შაქარს, ოღონდ ის ძვირი ღირდა და იაფ თაფლს კონკურენციას ვერ უწევდა. მისი აზრით, ამდენი თაფლის არსებობა იმის მოწმობაა, რომ მეფუტკრეობას ქალაქის მრავალი მხცხოვრები მისდევდა.

ძველი ქალაქის ბაზრები საინტერესოდ აქვს აღწერილი ფრანგ მეცნიერსა და მოგზაურს **ჟოზეფ ტურნეფორს,** რომელმაც ჯერ თურქეთი და სომხეთი მოინახულა, შემდეგ კი ტფილისს ეწვია. იგი იყო პირველი სერიოზული ბოტანიკოსი, რომელმაც საქართველოს ფლორის შესწავლა დაიწყო. მან საგანგებოდ აღნიშნა ადგილობრივ ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის სიუხვე, ხაზი გაუსვა ქლიავის ჯიშთა სიმრავლეს, მისი განსაკუთრებული მოწონება კი ადგილობრივმა მსხალმა დაიმსახურა, რომლის დარი სხვაგან არსად დაუგემოვნებია.

XVIII საუკუნის გერმანელი ნატურალისტის, სამედიცნო მეცნიერებათა დოქტორისა და მოგზაურის **იოჰან გულდენშტედტის** ცნობით, ტფილისის იმდროინდელ ბაზრებში იყიდებოდა: პური, ღვინო, არაყი, ბრინჯი, ერბო, შაქარი, დაშაქრული ნუში, ნიგოზი, ზეთისხილი, სევანის ტბის ძვირიანი თევზი – იშხანი, ზუთხი, ასევე ხიზილალა, კიდევ სანელებლები – მიხაკი, დარიჩინი, ზირა, სხვები.

XVII-XVIII საუკუნეების მსიჯნაზე, მეფე ვახტანგ VI-ის ძე, **ვახუშტი ბატონიშვილი,** პირველი სამამულო კარტოგრაფი და გეოგრაფი, თავის ნაშრომში ტფილისის მეიდანში თათრისა და მეტეხის ხიდთან ბაზრებს ახსენებს. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, თურმე, დღევანდელი კოტე აფხაზის (ყოფილი ლენინის) ქუჩის ზედა ნაწილში განთავსებული სავაჭრო რიგები ყოფილა, რომლებსაც თავის დროზე „შუა-ბაზარს“ ეძახდნენ, შემდეგ კი „სომხური“ შეარქვეს, რადგან იმ მიდამოებში სომხები მრავლად სახლობდნენ. ეს ბაზარი კალას უბანს ზედა და ქვედა ნაწილებად ჰყოფდა.

სხვათა შორის, ნარიყალას ციხე-სიმაგრის შესახებ პირველი ცნობები IV საუკუნით თარიღდება: სწორედ აქედან შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ვაჭრებს საქონელი. ბაზარში საგანგებოდ იყო გამოყოფილი ადგილი ცხოველებისთვის – ვირებისთვის, ცხენებისთვის, აქლემებისთვის, არსებობდა თივის მოედანიც კი, სადაც ცხოველებს თივას უყრიდნენ და წყალს ასმევდნენ. XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, სავაჭრო რიგების გარდა აქვე მრავლად იყო სახაშეები, დუქნები, აშფაშხანები („აშ“ – ნიშნავს „წვნიანს“ „ფაშ“ – „მის მომხარშველ კაცს“, „ხანა“ – „სახლს“, ანუ „ადგილი, სადაც ხარშავენ წვნიანს“).

XVII საუკუნეში, როსტომ-ხანის (როსტომ ბაგრატიონის, ქართლის მეფის) მმართველობის დროს, მეფის სასახლე ნარიყალის ციხე-სიმაგრიდან დღევანდელი ერეკლე II-ის სახელობის მოედანზე გადაიტანეს, ამიტომაც ამ ადგილს „სამეფო უბანი“ ეწოდება. სამწუხაროდ, ეს სასახლე მიწასთან გაასწორეს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს. როსტომ-ხანის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყო სურსათის მოვაჭრეთა დუქნები, აშფაშხანები. აქ იყრიდნენ თავს ჩამოსული ვაჭრები, მოგზაურები, დედაქალაქის სტუმრები. სამეფო უბანი მთელი ქალაქის ახალი ამბების თავმოყრისა და გავრცელების უმთავრესი ადგილი, ეგრეთ წოდებული სალაყბო“ იყო. მართალია იმ დროს გაზეთები უკვე არსებობდნენ, მაგრამ „ცინცხალ ამბავს“ უფრო მეტი წონა ჰქონდა. თანამედროვე ენით თუ ვიტყვით, იქ იმდროინდელი ტფილისის „ბირჟა“ იყო. მაშინდელ მოგზაურთა ცნობით, აქ შეიძლებოდა ნებისმიერი დეფიციტური საქონლის შეკვეთა, რომელიც სხვაგან არსად იყიდებოდა და მეორე დღესვე მისი ხელზე მიღება.

მთელი ვრცელი ტერიტორია – სამეფო უბნიდან ვიდრე მეიდნამდე – ვაჭრობის ცენტრი იყო. გარდა ამისა, მრავალი სავაჭრო ობიექტის თავმოყრის კიდევ ერთი ადგილი რასტა-ბაზარი იყო („რასტა“ – მწკრივად განლაგებულ სავაჭრო რიგებს ნიშნავს), რომელიც ამჟამინდელ ერეკლე II სახელობის მოედანზე იყო განთავსებული და სიონისა და ანჩისხატის საყდრებს შორის ადგილი ეკავა. საგულისხმოა, რომ სავაჭრო მწკრივთა მარცხენა მხარე სირაკხანებს, მარჯვენა კი დუქნებს ეკავათ. რასტა-ბაზარში მკაცრად აკრძალული იყო შერეული საქონლით ვაჭრობა – ნებადართული იყო მხოლოდ რომელიმე ერთი სახეობის საქონლის ყიდვა-გაყიდვა. რასტა-ბაზარი ჩარსუ-ბაზრით მთავრდებოდაე („ჩარ“ – სპარსულად „ოთხს“ ნიშნავს, ბაზარმა ეს სახელი ოთხკუთხა ტერიტორიის გამო მიიღო). აქ სურსათითა და ნაირგვარი წვრილმანით ვაჭრობდნენ, აქვე იყო ქსოვილების მაღაზიები (ბაზაზხანები), ოქრომჭედლების სახელოსნოები. ძველი ქალაქის ზოგიერთ ქუჩას დღამდე შემორჩა ზოგიერთი იმიდროინდელი სავაჭრო რიგის სახელწოდება: „ბამბის“, „რკინის“, „სამღებრო“ და ა. შ. მეიდანი, ერთგვარად, ძველი ქალაქის სახეს წარმოადგენდა, მეტეხის ხიდი კი მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილი იყო. მის მახლობლად თბილისის ყველაზე დიდი, თათრის ბაზარი იყო, სადაც, შემონახული ცნობებით, სავაჭრო დღეებში 20 ათასამდე კაცი იყრიდა თავს(!) „თათრისა“ კი ბაზარს იმიტომ ერქვა, რომ უცხოტომელებს, რომელთა შორის, უმეტესწილად აღმოსავლეთის ხალხების წარმომადგენლები, ძირითადად კი სპარსელები და თურქები ჭარბობდნენ, ქართველები ერთიანად „თათრებს“ ეძახდნენ.

თათრის ბაზარში თავს იყრიდა ათასი ჯურის ხალხი – ვაჭრების გარდა შეხვდებოდით აუარება მოგზაურს, ფათერაკების მაძიებელს, ჯიბის ქურდს, ავაზაკს, გამოქცეულ კატორღელს. პურის მოედნიდან ვიდრე გოგირდის აბანოებამდე აუარება საროსკიპო იყო, იქაური „მსახურებიც“ სწორედ თათრის ბაზარში გადიოდნენ კლიენტების საშოვნელად, თუმცა როცა ამას ვერ ახერხებდნენ, თავიდან ქუდს ხდიდნენ და... სა-



როსკიპოში უგდებდნენ, მაგრამ კაცები ხშირად ვერ ბედავდნენ შიგნით შესვლას, რადგან დიდი იყო არა მარტო გაძარცვის, არამედ სიცოცხლის ხელყოფის საფრთხეც. სწორედ იქიდან წამოვიდა ფრთიანი გამოთქმა: „ქუდიც რომ შეუგდო, შიგნით არ შევაო“.

ცალკე თემაა სურსათის მაშინდელი სიიაფე. მაგალითად, გირვანქა ღორის ხორცი (ნახევარ კილოგრამზე ცოტა ნაკლები) – 2 კაპიკი ღირდა, ამდენივე ცხვრის ხორცი – 5 კაპიკი, საქონლისა – 4 კაპიკი, ფუთი (ანუ 40 გირვანქა, 16,38 კილოგრამი) ახალგამოყვანილი ყველი – მანეთი, გირვანქა თაფლი – 10 კაპიკი, არაჟანი – 8 კაპიკი, კარაქი – 30 კაპიკი. მე-19 საუკუნეში ბაზარში პურის ყიდვა ტფილისელთათვის დიდი სირცხვილი იყო – ყველა ეზოში თორნე იყო და პურს ქალაქელები თავადვე აცხობდნენ. დედაქალაქის ერთ-ერთი ეძველესი 1920 წელს გახსნილი დეზერტირების ბაზარი, რომელიც ჯერ კიდევ 2007 წელს დაანგრგიეს და, მართალია, ახალი უკვე კარგა ხანია მოქმედებს, მის საბოლოო აღდგენამდე, როგორც ჩანს, საკმაოდ შორია.

კიდევ ერთი ბაზარი – „სალდატსკი“ – უწინდელ კოლმეურნეობის, ამჟამინდელ ორბელიანის მოედანზე იყო, სადაც ახლა კარფურის დიდი სავაჭრო ცენტრია, ქალაქის გარეუბანში სამგორის ტერიტორიაზე იყო კიდევ ნავთლუღის ბაზარი. „ნავთლუღი“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს „ნავთობის“ მოპოვების ადგილს“. ერთი ძველისძველი ტფილისური ტრადიცია კვირა დღეს მთელი ოჯახით ბაზარში წასვლა იყო, რა დროსაც ყველანი „თავთავის“ მოვაჭრეებს – მეძროხეებს, მებოსტნე-მემწვანილეებს, მემაწვნეებსა და ა. შ. აკითხავდნენ და ამით შეძენილი საქონლის მაღალი ხარისხით ერთგვარ გარანტიას იღებდნენ. ეს ფენომენი ბევრ მეცნიერს, მათ შორის ისტორიოგრაფს, ეკონომისტს, კულტუროლოგს, ეკონომისტსა და ლიტერატორს აქვს შესწავლილი და არაერთი საგულისხმო დასკვნაც აქვს გამოტანილი, რომელთა საერთო აზრი ისაა, რომ **ბაზრების მიმზიდველობის მთავარი გარემოება ადამიანებს შორის გულთბილი, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა იყო.**

ახლანდელ თბილისში უამრავი დიდი სასურსათო მაღაზიის არსებობის მიუხედავად, ძალიან ბევრი დიასახლისი სანოვაგის საყიდლად მაინც ტრადიციულად ბაზარს ამჯობინებს.

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ

„წყალი მარგებელის“ ქარხანა ნაბეღლავში



თუ 1854 წელს 1800 ბოთლი ბორჯომიდან 80 პროცენტი გაჰქონდათ, მეოცე საუკუნის დასაწყისში 300 ათასზე მეტი ბოთლის გატანა დაიწყეს, ხოლო 1913 წელს ეს რიცხვი 9 მილიონამდე გაიზარდა.

– როგორ იმოქმედა საქართველოს გასაბჭოებამ „ბორჯომის“ წარმოებაზე?

– სხვათა შორის სრულიად უმტკივნეულოდ, ამბობენ, რომ „რომანოვი სტალინმა შეცვალაო“. სტალინს ძალიან უყვარდა ბორჯომის წყალი და კრემლში ყველა ღონისძიებაზე „ბორჯომი“ იდგა მაგიდებზე. 1960 წლიდან ბორჯომით უცხოელებიც დაინტერესდნენ, დაიწყო მისი ექსპორტი საზღვარგარეთ. 1961 წლიდან იგი მსოფლიოს 15 ქვეყანაში გადიოდა, მათ შორის ამერიკაში და მინერალური წყლებით ცნობილ და აღიარებულ საფრანგეთსა და ავსტრიაში. 1980 წლისთვის მისი წარმოება 400 მილიონ ბოთლამდე ავიდა.

– „ბორჯომს“ პოპულარობით „ნაბეღლავიც“ დაეწია.

– „ნაბეღლავის“ ისტორია უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. კურორტი ნაბეღლავი გურიაში მდინარე გუბაზოულის ხეობაში მდებარეობს. მთაში, ბუნების ხელუხლებელ წიაღში მოსახლეობამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ერთ-ერთ წყაროს ხარები ეტანებოდნენ, წყალს განსაკუთრებული გემო ჰქონდა. ეს წყარო 1905 წელს აღმოჩნდა. წყლის საბადო კი ქართველმა და უცხოელმა მკვლევრებმა მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოიკვლიეს. თავდაპირველად წყლის ქიმიური შემადგენლობა 1921 წელს შეისწავლეს. 1930 წელს ქართველი და საბჭოთა მეცნიერების ხელმძღვანელობით ჰიდროლოგიური კვლევებიც ჩატარდა. წყლის ქარხნული წარმოება 1958 წელს დაიწყო. 1997 წელს წარმოებას სათავეში ჩაუდგა კომპანია „წყალი მარგებელი“, რომელმაც 2002 წლიდან „ნაბეღლავთან“ ერთად დაიწყო წყაროს წყლის „ბახმაროს“ ჩამოსხმა.

– მსოფლიომ როდისღა გაიცნო ჩვენი „ნაბეღლავი“?

– უცხოელ ტურისტებში „ნაბეღლავი“ არანაკლებ პოპულარული იყო, მაგრამ 2017 წელს „წყალი მარგებელმა“ ევროპაში წვენებისა და უალკოჰოლო სასმელების ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანია „რაუხთან“ ერთობლივი წარმოების ხელშეკრულება დადო. იმავე წელს გაიხსნა ახალი, მრავალპროფილური უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, ამ ქარხანაში „ნაბეღლავისა“ და „ბახმაროს“ გარდა აწარმოებენ „რაუხის“ წვენებს – ცივ ჩაის, ლიმონათს და სხვადასხვა უალკოჰოლო სასმელებს. გაიზარდა ექსპორტი.

თავად „ნაბეღლავის“ პოპულარობაც განპირობებულია მისი სასარგებლო თვისებებით, მისი მოხმარება შეიძლება შეუზღუდავი რაოდენობით, ნებისმიერ ასაკში, მისი სისტემატური მოხმარება ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას მავნე ნივთიერებებისგან და მის გამდიდრებას ორგანიზმისთვის აუცილებელი მინერალებით.

– მადლობთ, ბატონო მალხაზ საინტერესო საუბრისთვის. მართალია, თავისუფლებამ „ბორჯომით“, „ლაღიძის წყლებით“ და მწვანილით ჯერჯერობით ვერ გაგვამდიდრა, მაგრამ ამ სიმდიდრითა და მათი პოპულარობით მსოფლიო სახელი მაინც მოგვიტანა, ასე რომ, იმედს არ ვკარგავთ...

ესაუბრა
მამუკა ვაშაკიძე

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 100-100 ᲐᲗᲐᲡ ᲚᲐᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲝᲤᲡ



ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲠᲛᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲐᲛ ᲫᲕᲔᲛᲜᲘᲡ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲔᲜᲘ, ᲔᲙᲘᲠᲐᲯᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ 100 ᲐᲗᲐᲡ ᲚᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ.

„ᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲓᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ. ᲬᲚᲔᲑᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲓᲘᲗ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲕᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲝ ᲗᲐᲗ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ �გᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲐᲛ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲛ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲝ ᲐᲛ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲑᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ. 100 ᲐᲗᲐᲡ ᲚᲐᲠᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲡ 100 ᲐᲗᲐᲡ ᲚᲐᲠᲡ“.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ „ᲡᲣᲞᲔᲠ ᲞᲣᲛᲔᲑᲡ“ ᲡᲐᲛᲫᲔᲑᲠᲝ-ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ?

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘᲡ – „ᲡᲣᲞᲔᲠ ᲞᲣᲛᲐᲡ“ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜ „ᲛᲘ-8“-Ს ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲦᲠᲛᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲐᲛᲗ, 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲗᲐᲜ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲔᲑᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ, ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ.

ᲒᲕᲡᲣᲠᲡ, ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲡᲛᲐᲣᲠᲝᲗ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲟᲦᲔᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲒᲕᲘᲬᲔᲕᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲐ, ᲤᲐᲠᲗᲝᲗ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲠᲢᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲢ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ: ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲚᲝᲠᲘᲐ, ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲐᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲐᲜᲓᲠᲝ ᲥᲣᲯᲦᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲑᲝᲠᲢᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲬᲧᲝᲡᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ, ᲡᲐᲤᲠᲔᲜᲘᲡᲜᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲚᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1992 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲓᲐ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲘᲚᲘᲐᲡ.

ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲖᲐᲖᲐ ᲚᲝᲠᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲒᲐᲜᲮᲠᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ, ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲘ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲘ ᲞᲘᲚᲝᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲫᲠᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲝᲜ.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ 2019 – 2022 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲕᲘᲐ ᲞᲐᲠᲙᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ, ᲠᲐᲪ �გᲣᲚᲘᲡᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲘ ᲠᲔ�გᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ 2022 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲨᲘ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜᲔᲑᲘᲡ 2 ᲙᲣᲓᲐ ᲮᲠᲐᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲖᲔ ᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ 2 „ᲛᲘ-8“ ᲛᲢᲕ – 1 ᲢᲘᲞᲘᲡ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲝᲠᲘᲕᲔ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲖᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲣᲓᲐ-ᲮᲠᲐᲮᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲜᲐᲪᲕᲚᲓᲐ ᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ.

ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ 2 „ᲡᲣᲞᲔᲠ ᲞᲣᲛᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2011 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ „ᲡᲣᲞᲔᲠ ᲞᲣᲛᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲫᲔᲑᲠᲝ-ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ (ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲮᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲥᲠᲝᲑᲐᲓ). ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲧᲝᲗ ᲔᲠᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲞᲔᲠ ᲞᲣᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲕᲘᲗ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲗᲐᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜ�გᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲘ „ᲛᲘ-8“ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲫᲔᲑᲜᲐ – ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲨᲕᲔᲣᲚᲛᲤᲠᲔᲜᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲟᲦᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛ „ᲡᲣᲞᲔᲠ ᲞᲣᲛᲐ“ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘᲐ ᲩᲐᲠᲩᲘᲜᲚᲘᲚᲘ, ᲐᲠ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲡᲘ. „ᲡᲣᲞᲔᲠ ᲞᲣᲛᲐ“ ᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲚᲐᲒᲝᲜᲓᲔᲮᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ.

ᲔᲠᲗᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲢ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲐᲜ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲧᲘᲡᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲘᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ 275-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ“.

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲐᲕᲘ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲗ. ᲜᲔᲨᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ... ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲡᲣᲤᲔᲕᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ...

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲔᲑᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ!

„ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲮᲕᲐᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲔᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ. ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲮᲐᲓᲝ ᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲡ, ᲛᲐᲗᲐᲪ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ. ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ. ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲔᲑᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ!“, – ᲬᲔᲠ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

„ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲝᲭᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲒᲐᲓᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ (CITES) ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲗᲔᲗᲠᲧᲕᲐᲕᲘᲚᲐᲡ ᲑᲝᲚᲥᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲜ/ᲓᲐ ᲧᲝᲩᲘᲕᲐᲠᲓᲐᲡ ᲒᲝᲠᲒᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ცხადდება აუქციონი სახელმწიფო ტყის ფართობზე, გურიის რეგიონში, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის მიზნით.

ლოტი	სატყეო	კვარტალი	ლიტერები	წლიურად მოსაპოვებელი რესურსი (ტონა)	საწყისი ფასი (ლარი)
1	ᲒᲐᲮᲛᲐᲠᲝ	17	14	1	6 034

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის მფლობელმა სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელოს მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრულ სალიცენზიო ფართობზე

ბ) დაიცვას სოჭის გირჩის მოპოვების დასაშვები მოცულობა (კვოტა), რომელიც ყოველწლიურად დგინდება ლიცენზიის გამცემის მიერ;

დ)სალიცენზიო ფართობზე სოჭის გირჩის დამზადება აწარმოოს სექტემბერ-ოქტომბერში;

გ) კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში დაიცვას სალიცენზიო ფართობი უკანონო ტყით სარგებლობისაგან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ; შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად, 1 სექტემბრამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მიმართოს ტყის მართვის ორგანოს სალიცენზიო ფართობის გადმობარების, ხოლო 1 ნოემბრამდე არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა - გადაბარებისათვის; ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ასევე უზრუნველყოს გადაცემული ფართობის მიღებაჩაბარების აქტით დაბრუნება ლიცენზიის ვადის ამოწურვის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში;

დ) უზრუნველყოს გირჩის კრეფის დროს ხეების დაზიანებისგან დაცვა;

ე)ხელი არ შეუშალოს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს განახორციელოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები (გარდა სამეურნეო ჭრებისა); სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები ტარდება ლიცენზიის მფლობელის შეტყობინების შემდეგ;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, გადაიხადოს სოჭის გირჩით სარგებლობის რეგულირების საფასური;

ზ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში.

თ) სამინისტროს მიმართვის შემთხვევაში, მოპოვებული სოჭის გირჩიდან მიღებული არაუმეტეს 10 000 სოჭის ნერგის გაშენებისათვის საჭირო სოჭის თესლი უსასყიდლოდ გადასცეს შესაბამისი პროექტის/სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ პირს“.

ი) აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის 50%-ის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

კ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული დაარღვევს ამ ბრძანების მე-7 პუნქტით აუქციონზე მის მიერ დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ თანხის გადახდის წესს, იგი ვალდებულია დარღვევის დღიდან ყოველ გადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო იმ პერიოდისათვის გადასახდელი (ვადაგადაცილებული) თანხის 1%-ის ოდენობით, ძირითადი თანხის გადახდის გადაცილებულ დღეთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს, ამავე ვადაში დაფარული უნდა იქნეს პირგასამტეხლოც, რომელთა გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვეულის გამოვლენის შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

სარგებლობის ლიცენზიის ვადებისა და აუქციონის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია და გამართვის ვადები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტგვერდზე https://www.eauction.ge.

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲮᲕᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ

ᲨᲣᲐᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲔᲓᲘᲡ დიდწილად შეუსწავლელ ჩრდილოეთ ნაწილში ახლახან ჩატარებული ექსპედიციისას, საზღვაო მკვლევრები რაღაც უცნაურს წააწყდნენ: ციცქნა ხვრელებს დანალექებში, რომლებიც ათეულობით სწორ ხაზად არის ჩამწკრივებული.

ზღვის ფსკერზე ხვრელები დამაბნეველი არ იქნებოდა, რომ არა ის ფაქტი, რომ ისინი წერტილოვანია და საოცრად სუფთად და თანაბარი სივრცეებით არის განლაგებული. ატლანტის ოკეანის ზედაპირიდან დაახლოებით 2,5 კილომეტრის სიღრმეზე, არაფრის სიახლოვეს რომ არ იყოს წარმოქმნილი, იფიქრებდი, რომ ისინი ადამიანის ხელით არის შექმნილი.

23 ივლისს, აშშ-ის ოკეანისა და ატმოსფეროს ეროვნული ადმინისტრაციის (NOAA) Okeanos Explorer-ის ეკიპაჟზე მყოფმა მკვლევრებმა ავტონომიური წყალქვეშა აპარატით გამოიკვლიეს აზორის არქიპელაგის ჩრდილოეთით, პორტუგალიის სიახლოვეს არსებული წყალქვეშა ვულკანური ქედი.

მკვლევრები ამჯერად დახმარებას საზოგადოებას სთხოვენ, რათა გაარკვიონ, რას წარმოადგენს მათ მიერ აღმოჩენილი ეს უცნაური ხვრელები.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, 483 კილომეტრის მოშორებით, 1,6 კმ-ის სიღრმეში, მკვლევრებმა ხვრელების კიდევ ოთხი წყება აღმოაჩინეს.

„მიუხედავად იმისა, რომ ხვრელები თითქოს ადამიანის შექმნილს ჰგავს, მათ გარშემო არსებული დანალექთა პატარა გროვები მიუთითებს, რომ ისინი გათხრილია. ვცადეთ, მაგრამ დისტანციურად მოქმედი აპარატის ხელსაწყოებით ამ ხვრელებში ჩახედვა ვერ მოვახერხეთ“, – წერს NOAA პრესრელიზში.

კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ ეს ასეთი ხვრელების აღმოჩენის პირველი შემთხვევა არ არის. უკვე სულ მცირე 20 წელია, რაც ისინი მეცნიერებს საგონებელში აგდებს. 2004 წელს გამოქვეყნებული მოხსენება ამავე რეგიონში ასეთივე ხვრელების აღმოჩენას იუწყება. მკვლევრებმა მათ „ლებენსშპურენი“ უწოდეს, რაც გერმანულად სიცოცხლის კვალს ნიშნავს.

„უცნობია ხვრელების წყარო ან როგორ წარმოიქმნა ისინი, მაგრამ ამოწეული დანალექები შეიძლება მიუთითებდეს ინფაუნალურ ორგანიზმთა მიერ გათხრაზე“, – წერდნენ მაშინ მკვლევრები. მათი განცხადებით, ახლოს დათვალიერებისას არ გამოვლინდა ხვრელებში რაიმე ცოცხალი ორგანიზმის ბინადრობის კვალი; ასევე არ ჩანს, შეერთებულია თუ არა ხვრელები დანალექების ქვეშ რამესთან.

მას შემდეგ, მეცნიერებმა ამ ხვრელების შესახებ ბევრი ვერაფერი გაარკვიეს, მაგრამ არის იმედი, რომ ეს მისია გარკვეულ პასუხებს შემოგვთავაზებს. ახალი ექსპედიციის ფარგლებში, ავტონომიური აპარატის შესასრუტი მოწყობილობით მკვლევრებმა ხვრელების გარშემო ნიმუშების აღება შეძლეს, რათა გაერკვიათ, ბინადრობს თუ არა მათში რამე.

2004 წლის პუბლიკაციასთან და ახალ მონაცემებთან მუშაობით, ღრმა ზღვის ბიოლოგი მაიკლ ვეჩიონე ცდილობს გაარკვიოს, რა იმალება შუაატლანტიკური ქვიშების ქვეშ. შუაატლანტიკური ქედი 16 000 კილომეტრის სიგრძეზეა გადაჭიმული და წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს ქედს, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ჩვენს უმეტესობას ის თვალით არასოდეს გვინახავს.

ამ რეგიონის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით და სწორედ ამიტომ ახორციელებს NOAA იქ ექსპედიციას 2022 წლის მაისიდან სექტემბრამდე.

შუაატლანტიკური ქედი მიწისძვრების ცხელი წერტილია; იქ ასევე მრავლადაა ჰიდროთერმული ღრმულები, სადაც მაგმის მიერ გამოყოფილ სითბოს ასეთ სიღრმეზე ბინადარი ორგანიზმები იყენებენ. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ 2022 წლის მისია სიცოცხლის ამ ფორმებისა და უცნაური ხვრელების წყაროს შესახებ უფრო მეტს გაარკვევს.

მომზადებულია The New York Times-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲭᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ



◎ მოვლენის წინ

სლოვენიაში იწრთობიან

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების სლოვენიური შეკრება გრძელდება. კურორტ როგლაში ილიას ზუროსის გუნდს ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ უმაღლეს დონეზე მოემზადოს და მოახლოებულ ოფიციალურ მატჩებს სათანადო კონდიციებში შეხვდეს. ოფიციალურ შეხვედრებამდე, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 24 და 27 აგვისტოს, მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ეგიდით უნდა გამართოს, არაერთი ამხანაგური მატჩია. მათ შორის უახლოესი 5 აგვისტოს, უნგრეთთან ქალაქ კეჩკემეტში ელის, სადაც ჩვენი ნაკრები ავტობუსით როგლადან გაემგზავრება.

ვარჯიშები აქტიურ ფაზაში შევიდა. **ილიას ზუროსი** ასისტენტებთან ერთად ბევრ დროს კომბინაციების გათამაშებას, ძირითადად დაცვითი ტაქტიკის დამუშავებას უთმობს. ფიზმომზადების მწვრთნელიც საკუთარ გეგმას მიჰყვება და მოძლიერებული მოთამაშეების უფრო მაღალ ფიზიკურ კონდიციამდე აყვანას ცდილობს. მედიკოსთა ჯგუფიც ჩვეულად დატვირთულია – ნაკლებად ტრავმების რეაბილიტაციით და უფრო მეტად მოთამაშეების ოპტიმალურ კონდიციებში ჩასაყენებლად, იქნება ეს სწორი კვება, ვარჯიშისშემდგომი სარელაქსაციო მასაჟი თუ კალათბურთელებისთვის ინდივიდუალური მოედანსგარეთა გრაფიკის შედგენა-განხორციელება.

2 დღეა, ნაკრებს შეუერთდა **სანდრო მამუკელაშვილი,** რომელსაც გუნდთან სრულფასოვანი ვარჯიშის უფლება ნბას რეგულაციების გათვალისწინებით 4 აგვისტოდან აქვს. სანდროს თან ახლავს „მილუოკი ბაქსის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ჯეკ დენიელსი, რომელიც მამუკელაშვილს ჩვენი ნაკრების დარბაზში მისვლამდე ინდივიდუალურად ავარჯიშებს. შემდეგ კი სანდრო ნაკრებთანაც ვარჯიშობს, თუმცა მხოლოდ სროლებით და ეგრეთწოდებული 5-0 კომბინაციებით შემოიფარგლება, სადაც მოთამაშეებს ერთმანეთთან უშუალო კონტაქტი არ აქვთ.

კონდიციებში შედის **გიორგი ცინცაძე,** რომელსაც ნაოპერაციები ფეხის გამო მთელი გასული სეზონი გაუცდა. ცინცაძემ არ ითამაშა წინა საკვალიფიკაციო მატჩები უკრაინასთან და ესპანეთთან, თუმცა ის გუნდთან ერთად იყო. ნელ-ნელა გიორგი ჩვეულ კონდიციებს იბრუნებს და მისი ორიენტირი საკვალიფიკაციო მატჩები და რა თქმა უნდა, ევრობასკეტია.

ეროვნული გუნდის კაპიტანი **თორნიკე შენგელია** დადებითად აფასებს გუნდის მზადყოფნას ამ ეტაპზე და იმ წვრთნის პროცესს, რომელსაც ჩვენი გუნდი ოფიციალური მატჩებისთვის მოსამზადებლად გადის:

„საკმაოდ კარგად მიდის ჩვენი შეკრება, ვემზადებით როგორც ტაქტიკურად, ისე ფიზიკურად და მჯერა, რომ ამ შეკრების მეორე ნახევარი უფრო პროდუქტიული იქნება“.

◎ ოვალური ბურთი

ქართული დერბით

რაგბი ევროპის სუპერთასის მეორე გათამაშება 11 სექტემბერს ბათუმში ქართული დერბით იწყება. თასის მოქმედი მფლობელი „შავი ლომი“ პირველ ტურში დებიუტანტს, საქართველოს ჩემპიონ „ბათუმს“ ეწვევა.

პირველი გათამაშების მსგავსად, ტურნირში ამჯერადაც 8 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ჯგუფურ ეტაპზე დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციებში არიან გადანაწილებული. დასავლეთ კონფერენციაში კვლავინდებურად პორტუგალიური „ლუზიტანუში“, ესპანური „იბერიანსი“, ბელგიური „დევილსი“ და ნიდერლანდური „დელტა“ ითამაშებენ.

რუსული კლუბების მოკვეთის შემდეგ აღმოსავლეთ კონფერენციაში მათი ადგილი რუმინულმა ფრენჩაიზმა „ვულკზმა“ და საქართველოს ჩემპიონმა „ბათუმმა“ დაიკავეს. ამავე ჯგუფში ითამაშებს ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი“ და ისრაელის „თელ ავივ ჰითი“.

რაგბი ევროპამ ახალი სეზონის კალენდარი უკვე დაამტკიცა. ტურნირი 10 სექტემბერს დაიწყება და ოქტომბრის ბოლომდე ჯგუფური ეტაპის (6 ტური) შეხვედრები გაიმართება, ნახევარფინალი და ფინალი კი დეკემბერშია ჩანიშნული.

პირველ ტურში, 11 სექტემბერს, 17:30 საათზე „შავი ლომი“ ბათუმში „ბათუმს“ ეთამაშება; 17 სექტემბერს „ბათუმი“ „ვულკზს“ ბუქარესტში, „არაკულზე“ ეწვევა, ხოლო „შავი ლომი“ 18-ში „თელ ავივ ჰითს“ თბილისში დაუხვდება; მესამე ტურში, 25 სექტემბერს, „შავი ლომი“ „ვულკზს“ უმასპინძლებს, „ბათუმი“ კი „ჰითს“ მიიღებს.

მეოთხე ტურში, 13 ოქტომბერს „შავი ლომი“ თელ ავივში „ჰითს“ ეწვევა, ხოლო „ბათუმი“ შინ „ვულკზს“ 15-ში მიიღებს; 22 ოქტომბერს „ბათუმი“ „ჰითს“, 23-ში კი „შავი ლომი“ „ვულკზს“ სტუმრად ეთამაშება; ჯგუფურ ეტაპს ქართული გუნდები 29 ოქტომბერს თბილისში დერბით ასრულებენ.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფური ეტაპის ორ-ორი საუკეთესო კლუბი ნახევარფინალში გადის. აღმოსავლეთ კონფერენციის პირველადგილოსანი დასავლეთ კონფერენციის მეორეადგილოსანს მასპინძლობს, ხოლო აღმოსავლეთის მეორეადგილოსანი დასავლეთის პირველადგილოსანს სტუმრად ეთამაშება. თამაშები 3-4 დეკემბერს გაიმართება, ფინალი კი ორ კვირაში (17 დეკემბერს) შედგება.

◎ პანდემია – 2

ისევ გაუქმდა

ATP-ს ტურის გადაწყვეტილებით, მიმდინარე სეზონში არ ჩატარდება შანჰაის მასტერსი და კიდევ სამი ტურნირი, რომლებიც ჩინეთში უნდა გამართულიყო.

ამის მიზეზია კორონავირუსის ახალი ტალღის აგორება, რომლის გამოც ცისქვეშეთის არაერთი ქალაქი ისევ ჩაიკეტა.



ჩინეთმა თებერვალში ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლა, მაგრამ მას შემდეგ ამ ქვეყანაში არცერთი საერთაშორისო შეჯიბრება არ ჩატარებულა. ამის მიზეზი პანდემიაა. ეს უკვე მესამე სეზონია, რაც ATP-ს ჩინური ტურნირების გაუქმება უწევს.

პანდემიის ახალი ტალღა არაა ისეთი ძლიერი, როგორც წინა წლებში იყო – ქვეყანაში 30 ივლისისთვის მხოლოდ 228 180 შემთხვევა იყო დაფიქსირებული. მაგრამ დასავლეთისგან განსხვავებით, სადაც შეზღუდვები უმეტესად მოხსნილია, ჩინეთი ვირუსს ისევ ლოკდაუნით ებრძვის.

ჩინეთის ტურნირების გადადების კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ ჩოგბურთელებს აღარ სურთ შეზღუდვების ფონზე ასპარეზობა. ATP-ში ვარაუდობენ, რომ ჩინურ ტურნირებზე, ბევრი მოთამაშე არც ჩავიდოდა.

WTA-ს ტურს ამ სეზონში ჩინეთში ტურნირები დაგეგმილი არ აქვს. ამის მიზეზი ჩინელ ჩოგბურთელ პენ შუაისთან დაკავშირებული წინააღმდეგობაა, რომელიც WTA-სა და ჩინეთს შორის წარმოიქმნა. საქმე ისაა, რომ პენმა ჩინეთის ყოფილ ვიცე პრემიერ ჩჟან გაოლის სექსუალურ შევიწროებაში დასდო ბრალი. WTA კი წყვილებში მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს გამოესარჩლა.

◎ ხალიჩაზე

კარპატული ნადავლი

ბუქარესტში გამართულ „Ion Cornianu & Ladislau Simon“-ის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

განსაკუთრებით წარმატებულად გამოვიდნენ 67 კგ-ში მოასპარეზე ფალავნები, რომელშიც ქართული ფინალი შედგა. **ჯონი ხეცურიანმა რამაზ ზოიძეს** მოუგო და ოქროს მედალი მოიხვეჭა.

ტურნირის გამარჯვებული გახდა **გიორგი მელიაც** (97 კგ), ბრინჯაოს მედლებს კი **იური ლომაძე** (77 კგ) და **გურამ ხეცურიანი** (87 კგ) დაეუფლნენ,

◎ „სუსტი სქესი“

„უემბლის“ პარალელები

ფეხბურთის ისტორიაში მისი სამშობლოს – ინგლისის ერთადერთი ტრიუმფი შორეულ 1966 წელს უკავშირდება, როცა ტოფიკ ბახრამოვის ზლაპრულმა თვალმა შენიშნა ის, რაც მაშინაც და დღესაც – მოწინავე ტექნოლოგიების ზეობის ეპოქაში ჯერაც სათუო და დაუდგენელია – თურმე ბურთს გადაუკვეთავს გერმანელთა კარის ხაზი.

და აი, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ „უემბლიზე“, როგორც მაშინ, ისევ ტრადიციულ მეტოქესთან პრინციპულ ბრძოლაში ტიტული უკვე ნიდერლანდელი **სარინა ვიგმანის** გაწვრთნილმა მასპინძელმა ქალებმა მოიხვეჭეს. თუ პარალელს ალფ რამსეის შეგირდთა მიღწევასთან გავავლებთ, წარმატება ევროპის 8-გზის ჩემპიონის წინააღმდეგ ამჯერადაც დამატებით დროში გამოიჭედა, ოღონდ ამ შემთხვევაში ბახრამოვის მსგავსი ფოკუსი საჭირო აღარ გამხდარა, რადგან კელიმ (დეგნანი ან იანი არ გეგონოთ) ოქროს გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა – 2:1.

ისიც სათქმელია, რომ ინგლისელები მთელი ტურნირის განმავლობაში შესანიშნავად თამაშობდნენ და მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს, ფავორიტს კი ფინალამდე გუნდის ლიდერ პოპის მიერ მიღებულ ტრავმასთან ერთად ძირითადი დროის მიწურულს დაცვის ბურჯ ბლაბერგერის დაშავებამ გადაუჭრელი პრობლემები შეუქმნა.

შეგახსენებთ, რომ შარშან იმავე „უემბლიზე“ ალბიონელებმა კონტინენტური ფორუმის გადამწყვეტი მატჩი „სკუადრა აძურასთან“ დათმეს, ხოლო რევანში „სუსტმა სქესმა“ აიღო.

საწვავზე დიდი, ძალიან დიდი ფული კეთდება!

(ზეოთხე ბვერდიდან)

ანალიტიკოსი **დემურ გიორხელიძე** მიიჩნევს, რომ საქართველოში საწვავის ფასის მატებასთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებული მიზეზებია. ფასების მატება ხდება უმსხვილესი იმპორტიორების ინტერესებით, რაც ხელისუფლების ინტერესთა ჯგუფებია, განსაკუთრებით, ენერგომატარებლების სფეროში, ამიტომ არანაირი რეგულაცია, კონკურენციის კანონმდებლობა, ანტიმონოპოლიური მოსაზრებები არ არსებობს. ეს არის ვითარებიდან გამომდინარე დიდი ფულის „მოხსნა“. შეიძლებოდა, ასეთი არასტაბილური და მუდმივად მზარდი ფასები არ ყოფილიყო საწვავზე, მაგრამ როცა არავინ უშლის და, პირიქით, დაინტერესებულნიც არიან ფასთა მატებით, ისინი წარმატებით ძარცვავენ ადამიანებს.

„საწვავზე ასეთი მაღალი ფასები არ ყოფილა მაშინაც კი, როდესაც 145 დოლარი ღირდა ბარელი ნავთობი. რაც შეეხება ინდოეთისა და რუსეთის ურთიერთობას, დასაწყისში იყო 30%-იანი დისკონტი, ესეც დროებითი იყო, რადგან გადაწყობა სჭირდებოდათ, ინდოეთის მსხვილმა ფირმებმა ისარგებლეს სიტუაციით და ულტიმატუმი წაუყენეს რუსეთს, ვიყიდით ნავთობს, თუ დისკონტირება იქნება. 30% არ არის ნორმალური დისკონტი, როგორც წესი, მაქსიმუმ, 8-10%-ის ფარგლებშია დისკონტი. ცხადია, ჩვენც შეგვეძლო რუსეთთან გვევაჭრა, საკუთარი ქვეყნის განვითარებაზე რომ გვეფიქრა. თუმცა ფული იოლად იშოვება საწვავსა და იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდით, საკუთარი წარმოება უმწირესია, ათასობით ჰექტარი საქართველოში დაუხნავ-დაუთესავი დარჩა. რაში სჭირდებათ სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, როცა არის სახელმწიფო შესყიდვები, უზარმაზარი იმპორტი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმპორტი? ამაზე დიდი ფული კეთდება“, — გვითხრა დემურ გიორხელიძემ.

მანვე განმარტა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც პრემიერმა დაავალა საწვავის ფასების დარეგულირება, ეს არის ფორმალური სამსახური, სადაც არავინ არაფერს აკეთებს. როცა ეს სამსახური შეიქმნა და ძალიან კარგი ხელმძღვანელიც ჰყავდა, მან გადადგა ნაბიჯები და 50-მილიონი აჰკიდა საწვავის შემომტან ფირმებს, მაგრამ რა უქნეს? ის წესიერი კაცი გააგდეს სამსახურიდან და 50-მილიონიც გააუქმეს. ამის შემდეგ ის კაცი ფარმაცევტულ სექტორში აპირებდა შესვლას, მაგრამ ხელისუფლებაში იფიქრეს, ეს უკვე ნამეტანიაო და უსინდისოდ მოიშორეს თავიდან...

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** აცხადებს, რომ რუსეთიდან ძირითადად ჩვენთან შემოდის საწვავი — რეგულარი, რომლის ფასებიც იწყება 3 ლარიდან (3.10 ლარი, 3.20 ლარი), ეს საკმაოდ დაბალი ფასებია არაბრენდირებულ გასამართ სადგურებში, მცირე და საშუალო ქსელებში. დიდ კომპანიებს კი შედარებით მაღალი ფასი აქვთ.

ვანო მთვრალაშვილის თქმით, რუსეთი ამ კატეგორიის საწვავს ფიქსირებულ ფასად გვაძლევს, პირობითად, საქართველომდე ეს პროდუქტი ჯდება სადღაც ათას დოლარამდე, როდესაც მისი საერთაშორისო ფასი შეიძლება იყოს 1200 დოლარი და უფრო მეტიც. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ნავთობი რუსეთიდან რეალურად ფასდაკლებით შემოდის და ეს 3 ლარი და ოდნავ მეტიც სწორედ ამის დამსახურებაა. სხვა შემთხვევაში, იმავე კატეგორიის პროდუქტი ევროკავშირის ქვეყნებიდან რომ შემოგვეტანა, ის ფასდაკლებით ვერ შემოვიდოდა და სადღაც 3.60-3.70 ლარიდან დაიწყებოდა მისი ფასი.

„მას შემდეგ, რაც პრემიერმა ანტიმონოპოლიურ სამსახურს დავალება მისცა, ვითარება გამოსწორდა, ვინაიდან ალტერნატიული ბაზრები არსებობს. თუმცა დღეს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან მოდის საერთაშორისო ფასებით პროდუქტი და ეს ქვეყნები ფასდაკლებით არ გვაძლევენ პროდუქტს. როდესაც კომპანიებმა რუსეთიდან პროდუქციის შესყიდვა დაიწყეს, მათ გაუჩნდათ რესურსი, ფასი შეემცირებინათ რეგულარის ტიპის ბენზინზე. მე „პრემიუმს“ და „სუპერს“ არ ვეხები, რადგან ის ევროპიდან შემოდის და ფასდაკლებული არ არის. დიზელი ცალკე თემაა, დიზელის საწვავზე ძალიან მაღალი ფასია, დიზელის ფასი იწყება 4.50-დან და 4.80 ლარამდეა. საერთოდ, დიზელზე დეფიციტია, რადგან აზერბაიჯანიდან ორ თვეზე მეტია, პროდუქტი ვერ შემოდის, რაც მოდის, ისიც საერთაშორისო ფასით მოდის. ამიტომ დეფიციტს ემატება საერთაშორისო ფასიც და დიზელზე რთულადაა საქმე. აზერბაიჯანში ქარხნის გადაიარაღების პროცესი მიმდინარეობს და ტექნიკური საკითხებიდან გამომდინარე, დიზელის მოწოდება შეჩერებულია“, — აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

მისივე შეფასებით, რუსეთს ვერ შეევეჭრებით და ფასს ვეღარ დავაკლებინებთ საწვავზე. ასე არ არის, რომ რუსებს უჭირთ პროდუქტის გაყიდვა და შეიძლება შეევეჭროთ, სინამდვილეში, მათ არ უჭირთ. რასაც გვაძლევენ, ისედაც უკვე ფასდაკლებული პროდუქტია. რუსები ფიქსირებულ ფასად გვაძლევენ ნავთობს.

„გამორიცხულია, მეტი ფასდაკლებით რუსეთი აღარ მოგვყიდის ნავთობს. დიდ კომპანიებსაც კი, თუკი ისინი რუსულ პროდუქტს ყიდიან, შედარებით დაბალი ფასები აქვთ, ფასდაკლებასაც სთავაზობენ მომხმარებელს, ლოიალურ მომხმარებლებს“, — დასძინა ვანო მთვრალაშვილმა.

მანანა ნოზაძე

მომდევნო კვირაში 3 დღით სამგზავრო და სატვირთო მატარებლები არ იმოძრავებენ!

საქართველოს რკინიგზა სამგზავრო და სატვირთო მატარებლების მოძრაობის დროებით, 3 დღით შეჩერების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

„ძვირფასო მგზავრებო, მოგეხსენებათ, საქართველოს რკინიგზაში მიმდინარეობს მოდერნიზაციის პროექტი.

249 მლნ დოლარის ღირებულების პროექტი, გამტარუნარიანობის გაზრდასა და უსაფრთხოების პარამეტრების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. პროექტის დასრულების შემდეგ, შემცირდება სამგზავრო მატარებლების გადაადგილების დრო. ამ პროექტის ფარგლებში, შენდება ახალი გვირაბები, სარკინიგზო ხიდები, იცვლება საკონტაქტო ქსელი, შენდება ახალი მიწის ვაკისი, სადგურები, რეაბილიტაცია უტარდება რამდენიმე ქვესადგურს.

სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, მიმდინარე სამუშაოების გამო, 9, 10 და 11 აგვისტოს სამგზავრო და სატვირთო მატარებლები არ იმოძრავებენ. 12 აგვისტოდან კი მოძრაობა სრულად განახლდება“.

სატვირთო ავიაგადაზიდვებს ქართული კომპანია შეასრულებს

მსოფლიო ბაზარზე სატვირთო ავიაგადაზიდვებს აგვისტოს მეორე ნახევრიდან ქართული კომპანია „კამექს ეარლაინსი“ შეასრულებს. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი კომპანიის გამოჩენა ამერიკული საფინანსო კორპორაცია Gazelle Finance-თან თანამშრომლობის შედეგია. ჯამში კომპანია ოთხი ბორტით იქნება წარმოდგენილი.

1 აგვისტოს ერთ-ერთი მათგანი Boeing737-800 BCF ქართულ-ამერიკული მხარის წარმომადგენლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პირადად დაათვალიერეს, მათ შორის იყვნენ ეკონომიკის მინისტრი ლევან დავითაშვილი და საქართველოში ამერიკის ელჩი კელი დეგნანი.საინვესტიციო პროექტის ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკას შეემატა 100 მლნ ლარის მოცულობის აქტივი, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა 150-ს მიაღწევს.

„კომპანია „კამექსი“ უკვე დაახლოებით 20 წელია, არის საავიაციო გადაზიდვებში და ბოლო პერიოდში გადაწყვიტა, რომ შეესწავლა შესაძლებლობა საკუთარი სატრანსპორტო თვითმფრინავის ექსპლუატაციის თაობაზე. პირველი ბორტი თბილისში ჩამოყვანილია და უახლოეს პერიოდში დავიწყებთ ოპერირებას. ძირითადად ვიმუშავებთ სატრანზიტო ტვირთებზე, აზია, ევროპა, ამერიკის მიმართულებით და, რა თქმა უნდა, მოვემსახურებით ქართველ მომხმარებელსაც. იმ აქტივმა, რომელიც დღეს უკვე საქართველოს ეკონომიკას შეემატა და დარეგისტრირდა დაახლოებით 100 მილიონი ლარის ტოლია, ეს გაოთხმაგდება ძალიან მალე“ — განაცხადა კომპანია „კამექს ეარლაინსის“ საინვესტიციო პროექტის ხელმძღვანელმა გიორგი სეთურიძემ.

ეკონომიკის მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, სამომავლოდ იგეგმება, ქუთაისი გახდეს მეორე დამატებითი ჰაბი სატვირთო გადაზიდვების მიმართულებით.

ტაბახმელაში რეკრეაციული სივრცე ეწყობა

მთაწმინდის რაიონის გამგეობა შემოერთებულ ტერიტორიებზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას აქტიურად განაგრძობს. ამ ეტაპზე ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით, 5 000 კვ. მ ფართობზე განთავსდება საბავშვო ზონები, სპორტული მოედანი და ტრენაჟორები. მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, სარწყავი სისტემა.

სრულად შეიცვლება და მხატვრული ეფექტით განახლდება განათების სისტემა. საპარკე სკამები და ურნები დამონტაჟდება.

ასევე, ტერიტორიაზე მწვანე საფარი სრულად შენარჩუნდება და ახალი ნარგავებიც გაშენდება.

მიმდინარე პროცესს თბილისის მერის მოადგილე კახა გულედანი, მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან ლევან ბაჩიაშვილთან და დედაქალაქის საკრებულოს მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატ ზურაბ აბაშიძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

მძინარე თანასაკნელის განზრახ მკვლელს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა!

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიებით და ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წლის 4 მარტს, ქ, ბათუმში, №3 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა პატიმარმა თანასაკნელს, რომელსაც ეძინა, დაზიანებები, მათ შორის მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები მიაყენა. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა ჩარევის შედეგად, დაზარალებული გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მისი გადარჩენა მოხერხდა.

ბრალდებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ) წარედგინა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათუმის ფესტივალი დასრულდა

„ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი“ დასრულდა. ფესტივალი ქართულმა ხმებმა და იტალიელმა მუსიკოსებმა დახურეს. 9 დღის განმავლობაში, კონცერტების პარალელურად, ცნობილმა შეფმზარეულებმა მასტერკლასები ჩაატარეს, იყო წიგნების პრეზენტაციები და ფილმების ჩვენება.

ფესტივალის პირველი დღე იყო საქველმოქმედო, შემოსული თანხა ომის შედეგად დაზარალებულ უკრაინელ ბავშვებს მოხმარდება. „ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი“ მეცხრედ ტარდება. მისი დამფუძნებელი ელისო ბოლქვაძეა. ეს ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა საქართველოში, რომელმაც უკვე მეხუთედ მოიპოვა იუნესკოს მაღალი პატრონაჟი.

დინოზავრის ნაკვალევზე

სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში, ქალაქ ლეშანში, ერთ-ერთი რესტორნის ეზოში 100 მილიონი წლის წინ მცხოვრები დინოზავრის გიგანტური ნაკვალევი აღმოაჩინეს.

ჩინეთის პალეონტოლოგისა და გეომეცნიერებათა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის განცხადებით, ნაკვალევი დინოზავრების ერთ-ერთ სახეობას — ზავროპოდს ეკუთვნის. ზავროპოდები, რომელთაც გრძელი კისერი და კუდი ჰქონდათ, ყველაზე დიდი ცხოველები იყვნენ, რომელთაც დედამიწაზე ოდესმე უვლიათ.

აღმოჩენის ადგილას, ვიდრე რესტორანი გაიხსნებოდა, ქათმების ფერმა იყო. ამის გამო, ათწლეულების განმავლობაში, ნაკვალევი ჭუჭყითა და ქვიშის სქელი ფენით იყო დაფარული. ადგილის ახალ მფლობელს, რესტორნის მეპატრონეს, უსწორმასწორო ბუნებრივი ქვები მოეწონა და გადაწყვიტა, ცემენტით დაფარვის ნაცვლად, ის მოესუფთავებინა და ბუნებრივი იერი შენარჩუნებინა. სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი იმის დადგენა, რომ ქვებზე ჩაღრმავებები არა ბუნებრივად, არამედ ცოცხალი არსების გამო გაჩნდა.

ქართველი ემიგრანტი ქალი პიტბულმა დაგლიჯა!

აშშ-ში, ლონგ-აილენდზე, ქართველი მუსიკოსის — **მარინა გაგუნიას** ცხედარი საკუთარი სახლის უკანა ეზოში, დასახიჩრებული იპოვეს.

„ქალს თავს ძაღლი დაესხა, რომელიც თითქმის ორი კვირის წინ დაღუპულ შვილს ეკუთვნოდა. 70 წლის ქალის ცხედარი სახლში დაბრუნებულმა მეუღლემ იპოვა და პოლიცია გამოიძახა“, — წერს NBC New York-ი. მედიის ცნობით, ძაღლმა შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციაზეც სცადა თავდასხმა, რის შემდეგაც, სამართალდამცველებმა მას ესროლეს და მოკლეს.

„პოლიციის ოფიცერი, რომელიც ადგილზე ნანახით ტრავმირებული იყო, საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიცია შემთხვევის ადგილს „საშინელებას“ უწოდებს. პოლიციის ცნობით, 7 წლის პიტბული ქალის შვილს ეკუთვნოდა, რომელიც ორი კვირის წინ, მოტოციკლით, ავარიაში დაიღუპა. ის და ძაღლი მშობლების სახლში ცხოვრობდნენ და კაცის დაღუპვის შემდეგ, ძაღლს მისი მშობლები უვლიდნენ“, — წერს მედიასაშუალება.

იანვარში ტონგაზე ვულკანის ამოფრქვევის გამო ანტარქტიდაზე ცა ვარდისფერი გახდა

ივლისში, ანტარქტიდაზე ცა უჩვეულო, ვარდისფერი გახდა, ამის მიზეზი კი იანვარში, ტონგაზე წყალქვეშა ვულკანის ამოფრქვევა გახდა, რომელიც ანტარქტიდიდან 7 ათას კილომეტრში მდებარეობს.

ვარდისფერი ცის ფოტოები Instagram-ზე მეცნიერმა სტიუარტ შოუმ გამოაქვეყნა, რომელიც ანტარქტიდაზე ერთ-ერთ სამეცნიერო ბაზაზე მუშაობს. **„გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ფოტოზე გერები არ დამიმუშავებია. ყველაფერი თითქმის ისეთივეა, როგორც დავინახეთ“,** — დაწერა მან.

ეს უჩვეულო მოვლენა ახალი ზელანდიის წყლისა და ატმოსფერული კვლევის ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლებმა განმარტეს. მათი თქმით, ეს სტრატოსფეროში ვულკანური აეროზოლების დიდი რაოდენობით აიხსნება.

„სტრატოსფერულ აეროზოლებს ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ დედამიწის ირგვლივ რამდენიმე თვის განმავლობაში შეუძლიათ მოგზაურობა. როდესაც მზე ჩადის, ისინი სინათლეს ფანტავენ, რის გამოც ცაში იქმნება ნათება ვარდისფერი, ლურჯი და იასამნისფერი ელფერებით“, — აღნიშნულია ინსტიტუტის განცხადებაში. იანვრის დასაწყისში ტონგაზე ჯერ ვულკანი ამოიფრქვა, შემდეგ კი, სანაპიროები ცუნამიმ გაანადგურა.

პრინცმა ჩარლზმა ბინ ლადენის ძმებისგან მილიონი გირვანქა სტერლინგის მიღება დაადასტურა!

„ბიბისის“ ცნობით, უელსის პრინცის საქველმოქმედო ფონდმა 2013 წელს, ბინ ლადენის მკვლელობიდან ორ წელიწადში „ალ ქაიდას“ ყოფილი ლიდერის ნახევარძმებისგან შემოწირულობა მიიღო.

მოხსენების თანახმად, პრინც ჩარლზის საქველმოქმედო ფონდმა ფული მიიღო ბაკრ ბინ ლადენისგან, რომელიც საუდის არაბეთში მდიდრულ ოჯახს ხელმძღვანელობს და მისი ძმა შაფიქისგან. ფონდში აცხადებენ, რომ ფულის მიღებით არც ერთი კანონი არ დარღვეულა.

მეგობრობაც ამას ჰქვია

აშშ-ში, კენტუკის შტატში წყალდიდობაა. მსოფლიო მედიის ყურადღება 17 წლის გოგოს — ქლოი ადამსის ფოტომ მიიპყრო, რომელზეც ის საკუთარ ოთხფეხა მეგობართან ერთად ჩანს.

როგორც გოგო ჰყვება, სახლში ძაღლთან ერთად იყო, როდესაც გაიღვიძა და უჩვეულო სურათი ნახა — სააბაზანოს სანიაღვრედან და სამზარეულოს ფილებიდან წყლის ძლიერი ნაკადი მოდიოდა.

სამაშველო სამსახური ზარებით იყო გადატვირთული. ამიტომ, გოგომ გადაწყვიტა, თავად ეზრუნა უსაფრთხოებაზე. როგორც იხსენებს, ძაღლი წყალში საცდელად ჩასვა, რათა ენახა, შეძლებდა თუ არა მასთან ერთად ცურვას, მაგრამ შეშინებულმა ცხოველმა ეს ვერ შეძლო.

გოგომ ის ჯერ პლასტმასის დიდ კონტეინერში ჩასვა, რათა არ დასველებულიყო, კონტეინერი კი ბალიშზე დაამაგრა, რომ წყალში არ ჩაძირულიყო. გოგომ სიფრთხილე გამოიჩინა და ძაღლთან ერთად გარეთ არ გავიდა. უბრალოდ, დაელოდა, ვიდრე წყლის დონე სხვენამდე აიწეოდა, საიდანაც, სახურავზე ასვლას შეძლებდა. საბოლოოდ, ორივეს გაუმართლა და წყლის დონე ზუსტად მათი სახლის სახურავთან გაჩერდა. გოგო და ძაღლი სამაშველოს დაახლოებით 5 საათი ელოდნენ. საბოლოოდ, მეზობლად მცხოვრებმა ბიძაშვილმა სახურავამდე ნავით მიცურა და ისინი საკუთარი სახლის მეორე, დაუტბორავ სართულამდე მიიყვანა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 5 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7652; ევრო - 2.8299
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3650;
100 რუბლი - 4.4581; თურქული ლირა - 0.1576;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6308;
1000 სომხური დრამი - 6.7878.

ამინდი 3 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +37
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +35
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +15, დღე +33
თბილისი: ღამე +22, დღე +36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge